პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სამშაბათი 4 აპრილი 1939 წ. № 77 (5477) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

დ ღ ე ს   გ ა ზ ე თ შ ი ა:

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა („პრავდის" მოწინავე)
თევზის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება (1-ლი გვერდი)
ინტელიგენციის კრებები კიევში (1-ლი გვ.)
მივაწოდოთ სოციალისტურ მრეწველობას მუშახელი! (მე-2 გვ.)
ვ. კუბლაშვილი — ქიმიური კომბინატი მესამე ხუთწლედში (მე-2 გვ.)
ს. ახობაძე — რით მივდივართ სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე (მე-3 გვ.)
აგრ. რ. დოლიძე — ოქუმის კოლმეურნეობა — გამოფენის კანდიდატი (მე-3 გვ.)
აგრ. ესტატე კაკულია — ბელადისათვის მიცემული დაპირება საქმით გაანაღდეს (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)
ფაშისტების თარეში ჩეხიასა და მორავიაში (მე-4 გვ.)

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ისტორიაში შევა, როგორც სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ყრილობა. ჩვენი ქვეყანა შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში. XVIII ყრილობაზე პარტიამ დასახა მომავალი მუშაობის მკაფიო და ნათელი პროგრამა.

ამხანაგი სტალინი, ანალიზს უკეთებდა რა თავის მოხსენებაში საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების გზებს, ამბობდა:

„ახლა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობაში".

სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგად შეიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციები. გაქრა ქვეყნის შიგნით სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია, ვინაიდან ექსპლუატაცია მოსპობილია, ექსპლუატატორები ლიკვიდირებული არიან. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია. მთლიანად დარჩა გარედან თავდასხმებისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქცია, მაშასადამე, დარჩნენ აგრეთვე წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, დარჩნენ დამსჯელი ორგანოები და დაზვერვა, რომლებიც აუცილებელნი არიან ჩვენს ქვეყანაში შემოგზავნილი ჯაშუშებისა და დივერსანტების შესაპყრობად. დარჩა და სრულად განვითარდა სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია.

თუ ვილაპარაკებთ ქვეყნის შიგნით ჩვენი ამოცანების შესახებ, პირველ რიგში სდგება **მშრომელთა კომუნისტური აღზრდის** ამოცანა, რომელსაც ჭეშმარიტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ეხება იმას, რომ საბოლოოდ მოვსპოთ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, აღმოვფხვრათ ძველი საზოგადოების დამახასიათებელი ყველა და ყოველგვარი ნიშანი, აღვზარდოთ ათეული მილიონობით ადამიანები შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გადავაქციოთ **ყველა** მშრომელნი კომუნიზმის შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

ჩვენი წყობილება — გამარჯვებული სოციალიზმის წყობილება — მასების კომუნისტური აღზრდის საუცხოო სკოლას წარმოადგენს. მუშაობა არა ექსპლუატატორებისთვის, არამედ თავისთვის, სოციალისტური საზოგადოებისთვის, შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი, საბჭოთა დემოკრატია, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქის მაღალ გრძნობებს გვინერგავს, პროფკავშირული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების სისტემა, ჩვენი სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, წითელი არმია —ყოველივე ეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურება. ჩვენს ქვეყანაში ადამიანები თითქოს ახლად იბადებიან, სწარმოებს ღრმა და კეთილშობილური პროცესი ახალი ადამიანის, ძლიერი და გაბედული, კომუნიზმის დიადი იდეებით აღფრთოვანებული ადამიანის ჩამოყალიბებისა, ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებისა, რომელიც თავისი სამშობლოს, თავისი სოციალისტური საზოგადოების საკეთილდღეოდ ცოცხლობს. სტახანოვური მოძრაობა მასების კომუნისტური შეგნებულობის ზრდის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო მაჩვენებელია. იგი ჩაისახა მუშათა კლასის წიაღში და გამოხატულება გახდა მშრომელთა ულევი ნებისყოფისა — მოიპოვონ კომუნიზმის გამარჯვება. შეგვიძლია მოვიყვანოთ პირდაპირ ათასობით მაგალითები, რომლებიც მოწმობენ ჩვენი პარტიის წარმატებებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში.

ჩვენ ამჟამად ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რათა ეს მუშაობა ყოველნაირად გავაძლიეროთ. მესამე ხუთწლიანი გეგმის დიადი ამოცანების განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს უნართან — კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ მასების კომუნისტური აღზრდის საქმე.

„დადგა დრო,—ამბობდა ამხანაგი მოლოტოვი თავის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, — როდესაც წინარიგში ისმება აღმზრდელობითი ხასიათის ამოცანები, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები. კომუნისტური აღზრდის როლის ასეთი შეფასება დღევანდელ მომენტში სრულიადაც არ ამცირებს ჩვენს იმ მოვალეობას, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი, — ჩვენს მოვალეობას — ვიყოლიოთ ხალხი მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში ყოველგვარი მოულოდნელობის შემთხვევისათვის. პირიქით, მხოლოდ ისეთ აღზრდას შეიძლება იქონიოს კომუნისტური აღზრდა, რომელიც აამაღლებს ჩვენს მობილიზაციურ მზადყოფნას და მთელს ჩვენს უნარს — გაჩაღებული თავდადებული ბრძოლა და ახალი ბრძოლები კომუნიზმის გასამარჯვებლად".

ჩვენი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში ტონს ყველაფერში აძლევენ ხალხის მოწინავე ადამიანები. ისინი გვიჩვენებენ სოციალისტური შეგნებულობის ნიმუშებს და მიუძღვებიან მუშათა და გლეხთა უდიდეს მასას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უკვე **ყველა** მუშა, **ყველა** გლეხი მოწინავე გამხდარიყოს. მუშათა შორის, მოსამსახურეებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, ცოტანი როდი არიან ისეთნი, რომელნიც ცდილობენ ნაკლები მისცენ სახელმწიფოს, თავისთვის კი მეტი წაჰგლიჯონ. არიან ცუღლუტებიც და გამცდენებიც, რომელთაც დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში, ზიანს აყენებენ სახელმწიფოს. გლეხთა შორის ცოტანი როდი არიან ისეთნი, რომელნიც კოლმეურნეობაში დაუდევრად მუშაობენ და ცდილობენ მეტი წაჰგლიჯონ სახელმწიფოსა და კოლმეურნეობას პატიოსან კოლმეურნეთა საზარალოდ. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სახელმწიფოს ინტერესებისათვის, საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ცუღლუტებთან, დოყლაპიებთან, წუწის მკეთებლებთან. ჩვენ უეჭველად დაგვჭირდება ასეთი ბრძოლა, სერიოზული აღმზრდელობითი მუშაობა. ამ ბრძოლაში საბჭოთა სახელმწიფო ეყრდნობა მუშებისა და კოლმეურნეების დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას.

ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ რა გეზით უნდა იქნას მიმართული ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობა. მთელი ჩვენი ყოველდღიური მუშაობა, სამეურნეო იქნება იგი, კულტურული, თუ მეცნიერული, მაღალი კომუნისტური შეგნებულობით უნდა იყოს გამსჭვალული. ჩვენი საბჭოთა ადამიანების ძალღონე ერთი რამისკენ უნდა იყოს მიმართული: ყოველდღიურად განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმები, ყველაზე მაღლა დავაყენოთ ხალხის კეთილდღეობა, სოციალისტური საზოგადოების კეთილდღეობა. ჩვენ შეუბრალებლად უნდა აღმოვფხვრათ ყოველივე უვარგისი, ძველი, ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

წვრილბურჟუაზიულ ჩვეულებებს დიდი ცხოველუნარიანობა აქვთ, და ამის დავიწყება არ შეიძლება. ჩვეულების ძალა საშინელი ძალაა, — ამბობდა ლენინი. ადამიანები ერთბაშად როდი თავისუფლდებიან წარსულის ტვირთისაგან, იმისაგან, რაც საუკუნეობით ინერგებოდა მონური, ექსპლუატატორული წყობილების მიერ.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა იქით არის მიმართული, რომ აღმოიფხვრას კაპიტალიზმის ნაშთები, საბჭოთა ადამიანში აღიზარდოს ახალი, კომუნისტური თვისებანი. რაც უფრო წარმატებით გავაკეთებთ ამას, მით უფრო ჩქარა მივაღწევთ კომუნიზმის სრულ გამარჯვებას. აი რატომ უნდა შევახამოთ ჩვენი სამეურნეო გეგმების შესრულება უდიდეს აღმზრდელობით მუშაობასთან. პარტიას, ჩვენს სახელმწიფოს ამ მხრივ უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვებათ. ეს არის შრომის სოციალისტური დისციპლინისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცებისაკენ მიმართულ საკანონმდებლო ღონისძიებათა სისტემაც, ეს არის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ფართო მასობრივი მუშაობაც, ეს არის ჩვენი პრესა, ლიტერატურა, ყველა სახის ხელოვნება, რადიო, კინო. ეს არის შრომის საუკეთესო ნიმუშთა წახალისება, ადამიანებისადმი მზრუნველობით, ყურადღებით მოპყრობა, ეს არის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შემდგომი აღმავლობა. ადამიანები ისე უნდა აღვზარდოთ, რომ განვუვითაროთ მათ გრძნობა პასუხისმგებლობისა თავისი მუშაობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს საქმისათვის.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანა, იმისათვის, რომ ნაყოფიერად ვიმუშაოთ და გამარჯვება მოვიპოვოთ, ჩვენი კადრები მარქსისტულ-ლენინური თეორიით უნდა შეიარაღდნენ. მხოლოდ იგი იძლევა მიზნის სიცხადის, ორიენტირების ძალას, გამარჯვების რწმენას.

„აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი XVIII ყრილობაზე, — რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება".

ადამიანთა შეგნების გარდაქმნის ამოცანა მთლიანად ეხება პარტიის წევრებსაც. სწორი არ არის წარმოვიდგინოთ კომუნისტი, როგორც ისეთი ადამიანი, რომელიც სავსებით თავისუფალია ცრურწმენებისაგან და რომელიც არავითარ გარდაქმნას არ საჭიროებს. ასეთი შეხედულება კომუნისტებზე, როგორც ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა ყრილობაზე, იდეალისტურ, სქემატურ შეხედულებას წარმოადგენს. ასეთ შეხედულებას ის მოსდევს, რომ კომუნისტზე მსჯელობას იწყებენ აბსტრაქტულად, წინასწარ გამზადებული სქემის მიხედვით, ნაცვლად იმისა, რომ წინ წასწიონ იგი, გამოასწორონ მისი ნაკლოვანებანი და გარდაჰქმნან იგი. სწორედ ასეთ მცდარ შეხედულებათა ნიადაგზე ჩვენში აქა-იქ გაჩნდნენ ფსევდომორალისტები, ნამდვილად კი ფარისევლები და თვალთმაქცები, რომელნიც ადამიანთა მხოლოდ ნაკლოვანებებს ხედავენ და აზვიადებენ, რომელთაც უნარი არ შესწევთ და სურვილი არა აქვთ დაინახონ ადამიანებში ის ძვირფასი თვისებები, რაც ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ.

ჩვენში არსებობს ყველა საშუალება და შესაძლებლობა იმისათვის, რომ იდეოლოგიურად მოვამზადოთ ჩვენი კადრები და პოლიტიკურად გამოვაწრთოთ ისინი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხანაგმა სტალინმა იზრუნეს ამაზე. საქმე მხოლოდ ის არის, რომ დავძლიოთ გაუბედაობა თეორიის შესწავლის წინაშე და ხელი მოვკიდოთ მას ისე, როგორც ბოლშევიკებს შეეფერებათ. ამჟამად, როდესაც მასების კომუნისტურ აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენს კადრებს, ჩვენს ინტელიგენციას განსაკუთრებული როლი ეკუთვნის. საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი მუშაობა მით უფრო კეთილნაყოფიერი იქნება, რაც უფრო ღრმად ჩასწვდება მთელი ინტელიგენცია მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების დედაარსს.

ჩვენი საზოგადოება მთელი სისწრაფით მიემართება კომუნიზმის გასხივოსნებული მწვერვალებისაკენ. საბჭოთა სახელმწიფო ძალღონითა და ენერგიით არის აღსავსე. ჩვენი ხალხი მტკიცედ არის დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო. საბჭოთა ხალხი, კომუნისტური შეგნებულობით აღჭურვილი, უზრუნველჰყოფს მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებას, დააჩქარებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას.

„პრავდის" მოწინავე. 3/IV.



საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონის მთავარი ფასადის პროექტი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

თევზის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სანიმუშო სტახანოვური მუშაობისათვის, თევზჭერის ტექნიკის წარმატებით ათვისებისა და თევზის დამუშავების საქმეში მაღალი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია თევზის მრეწველობის 278 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 24 კაცი. მათ შორის — ა. შ. **ადიაევი** — მოგუტინსკის თევზის ქარხნის თევზის გადმომტვირთავი მუშა; დ. ა. **ბურკოვი** — რეფრიჟერატორ „არქტიკის კომკავშირელის" კაპიტანი; მ. ვ. **გადომსკაია**— კიბორჩხალმჭერი „კორიაკის" მუშა დამხარისხებელი; მ. ს. **დიაჩკოვი** — თევზკომბინატ „პოპოვის" პოლიტგანყოფილების უფროსი; ა. ს. **ზახაროვი** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის თევზის მთავარი სამმართველოს უფროსი; ა. ა. **ლოზინსკი** — რეფრიჟერატორ „საკვების ინდუსტრიის" უფროსი მექანიკოსი; ა. კ. **ობუხოვი** — მეთევზეთა საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე; ა. ი. **სანკინი** — ასტრახანის მებადურთა კავშირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მებადური; ნ. ე. **სკორნიაკოვი** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჩრდილოეთის თევზის მთავარი სამმართველოს უფროსი; დ. ნ. **სკოვპენი** — კიბორჩხალმჭერ „ვლადივოსტოკ სიბირიაკოვის" კაპიტან-დირექტორი; ვ. ი. **ხობოლევი**—მურმანსკის თევზკომბინატის ზურგიელის საამქროს ოსტატი; ი. ვ. **ხტარავოიტოვი** — თევზმჭერ ტრაულერის „კიროვის" მატროსი და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 57 კაცი. მათ შორის — ი. დ. **ბორტვო** თევზის ქარხნის „პილვოს" შკიპერი; ს. გ. **ვაინშტეინი** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახკომის მოადგილე; ი. ი. **გორჩიცა** — ქერჩის „მრს" დირექტორი; ნ. ვ. **დროზდოვი** — ყუბანის მებადურთა კავშირის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მებადური; ა. ა. **იშკოვი** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახკომის მოადგილე; მ. ი. **კორსუნოვი**—ვოლგა-კასპიის თევზის სახელმწიფო ტრესტის მმართველი; ი. პ. **კუზნეცოვი** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსი; ი. ა. **მარკოვი** — შორეულ - აღმოსავლეთის თევზის სახელმწიფო ტრესტის მმართველი; მ. კ. **ნიკოლაევი**—სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახკომის მოადგილე; მ. პ. **სომოვი** პროფესორი, მურმანთევზის ტრესტის სამრეწველო-კვლევის განყოფილების უფროსის მოადგილე; ი. ა. **შერედეკა**—სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახკომის მოადგილე და სხვ.

საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია 84 კაცი. მათ შორის — ბ. **ადელდაევი** — არალის მებადურთა კავშირის კოლმეურნეობა „კოოპბრილკის" მებადური; ნ. ფ. **განიუშკინი** — ვოლგა-კასპიის თევზის სახელმწიფო ტრესტის მმართველის მოადგილე; ნ. ა. **ეგოროვი** — ვეშაპმჭერი ფლოტილიის კაპიტან-დირექტორი, წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით; პ. ს. **ჟემჩუჟინა** — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარი, წინათ დაჯილდოებული ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით; ა. გ. **ზაბოლოტსკაია** — ყირიმის მებადურთა კავშირის მიქოიანის სახელობის მებადურთა კოლმეურნეობის თავმჯდომარე; დ. ი. **კანდიდატოვი**—ვლადივოსტოკის გემსაშენის მექვაბე მუშა; ა. გ. **ლევჩიშინი** — მურმანთევზის ტრესტის სატრალერო ფლოტის საზოგადოებრივ მუშაკ-ცოლების საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 54 კაცი. მათ შორის — ანა სამუილის-ასული **კრავჩენკო** — საქსახთევზტრესტის თევზის გადამმუშავებელი ქალთა ბრიგადის მუშა.

მედლით „შრომითი წარმატებისათვის" დაჯილდოებულია 59 კაცი. მათ შორის — კარლ პასკალის-ძე **პერიო** — საქართველოს სახთევზტრესტის მეთევზე.

(საკდესი).

ინტელიგენციის კრებები კიევში

კიევი, 2 აპრილი (საკდესი). დღეს შესდგა კიევის ხელოვნების მუშაკთა და მწერალთა აქტივის კრება, რომელიც მიძღვნილი იყო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი.

კრებას დაესწრო 1.000 კაცი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ უკრაინის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხანაგ ხრუშჩოვის გამოჩენას პრეზიდიუმის მაგიდასთან.

პარტიის XVIII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ორდენოსანი მწერალი ამხ. ბაჟანი. მან ლამაზად და მხატვრულად გააცნო დამსწრეთ მუშაობა ყრილობისა, რომელსაც იგი უკრაინის ხალხის დელეგაციის სახელით მიესალმა.

კამათში გამოსულმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ამხ. შუმსკიმ სთქვა:

— ბრწყინვალე მომავლისაკენ საუცხოო გზა დაგვისახა ჩვენ თავის მოხსენებაში ხალხთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. ხელოვნების მუშაკებმა მთელს თავის მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის მითითებებით.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქალი, ორდენოსანი ამხ. პეტრუსენკო, ორდენოსანი დრამატურგი ამხ. კოჩერგა, კომპოზიტორი ამხ. ვილენსკი და სხვები.

თავის გამოსვლებში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ლაპარაკობდნენ სოციალისტური სამშობლოსა, კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინისადმი თავის სიყვარულსა და ერთგულებაზე, იმაზე, რომ მზად არიან ემსახურონ ხალხს და მთელი თავისი ძალღონით დაიცვან სოციალისტური სამშობლო.

აქტივის კრებაზე ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ხრუშჩოვი.

o

დღეს აგრეთვე შესდგა კიევის საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა აქტივის კრება და კიევის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა აქტივის საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი.

კიევის ინტელიგენციის კრებებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

კონკურსი საბჭოთა პოლარელების სიმღერაზე

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლიტიკურმა სამმართველომ და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადეს კონკურსი პოლარელთა სიმღერაზე. საბჭოთა კავშირის გმირებმა ამხანაგებმა პაპანინმა, შირშოვმა და კრენკელმა ყველა საბჭოთა კომპოზიტორს და პოეტს მიჰმართეს მოწოდებით ჩაებან ამ კონკურსში და შექმნან საბჭოთა პოლარელების საბრძოლო, მხიარული სიმღერები.

— პოლარელთა მუშაობა, — სწერენ ისინი, — ასობით შესანიშნავ სიუჟეტს იძლევა საუცხოო სიმღერებისათვის... პოლარელთა სიმღერებმა უნდა გვიჩვენონ მთელი იმ მუშაობის გაქანება, რომელსაც პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ეწევიან საბჭოთა ადამიანები იმისათვის, რომ აითვისონ ჩრდილოეთის საზღვაო გზა და წყლის ნორმალურად მომქმედ მაგისტრალად გადააქციონ იგი სტალინურ მესამე ხუთწლედში.

პოლარელთა სიმღერაზე კონკურსი ტარდება 15 მაისამდე. ტექსტის ხელნაწერების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 10 აპრილი. საუკეთესო მუსიკისა და საუკეთესო ტექსტისათვის დაწესებულია სამ-სამი პრემია და ოთხი საპატიო სიგელი. პირველი პრემია — თითო ხუთი ათასი მანეთი — მიეცემა კომპოზიტორსა და პოეტს საუკეთესო სიმღერისათვის.

(საკდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა კვარტალური გეგმა

ემზადებოდნენ რა პარტიის XVIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა დიდს საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა იანვრის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს. თებერვალში, წინასაყრილობო შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების პერიოდში, თვიური დავალება 113,9 პროცენტით იქნა შესრულებული. კიდევ უფრო მეტი გამარჯვებები მოიპოვეს მარტში.

წინასაყრილობო შეჯიბრების შედეგად საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულმა მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა ვადამდე — 26 მარტისათვის.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს ხორცის მრეწველობამ. ხორცის მრეწველობის საწარმოებმა ჯერ კიდევ 20 მარტისათვის 110 პროცენტით შეასრულეს ხორცეულის კვარტალური გეგმა, ხოლო ძეხვეულის კვარტალური გეგმა — 102,5 პროცენტით. ჩინებულად შეასრულა დავალებები მრეწველობის ამ დარგის უდიდესი საწარმოს — თბილისის ხორცკომბინატის კოლექტივმა, რომელმაც 20 მარტისათვის ხორცეულის გეგმა 123 პროცენტით შეასრულა, ხოლო ძეხვეულის გეგმა — 103 პროცენტით.

ამავე დროისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული ღვინის, ლუდის, უალკოჰოლო წყლებისა და სხვ. კვარტალური გეგმა. 25 მარტისათვის კვარტალური გეგმა შეასრულეს მრეწველობის პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო დარგებმა, ბათუმის, ჩაისა და მეღვინეობის მოწყობილობის დამამზადებელმა ქარხანამ და მრავალმა სხვა საწარმომ. რამდენიმედ ჩამორჩებიან თამბაქოს ფაბრიკები და თბილისის საპნის ქარხანა.

პირველ კვარტალში საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობას უნდა გამოეშვა 41.730.000 მანეთის (1926-27 წლების უცვლელი ფასებით) პროდუქცია. წინასწარი გამოანგარიშების თანახმად, იმ პროდუქციის ღირებულება, რომელიც ფაქტიურად გამომუშავებულია კვარტალური გეგმის გადამეტებით, თვალსაჩინოდ აღემატება 2 მილიონ მანეთს.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივას და აქტიურად ებმებიან სტალინური მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. მთელ რიგ საწარმოებში ვალდებულება იკისრეს ვადამდე — სტალინური კონსტიტუციის სამი წლისთავისათვის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორი წლისთავისათვის შეასრულონ წლიური გეგმები. (საქდესი).

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს კვარტალური გეგმა

საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა კვარტალური გეგმა ვადამდე შეასრულეს.

სატყეო მეურნეობებმა, სატყეო კომბინატებმა და ტყის მრეწველობის მეურნეობებმა 1-ლი აპრილისათვის ხე-ტყის დამზადების გეგმა შეასრულეს 130 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის გეგმა—103 პროცენტით. სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებმა კვარტალური გეგმა 115,3 პროცენტით შეასრულეს.

წინასაყრილობო შეჯიბრების მუშაობის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ხეთის, ზუგდიდისა და ბორჯომის ტყის მრეწველობის მეურნეობებმა. ხე-ტყის დამამზადებელი 16 ორგანიზაციიდან 8 საწარმომ გეგმა ვადამდე შეასრულა. 7 საფაბრიკო - საქარხნო საწარმოდან გეგმა ვადამდე შეასრულა 4 საწარმომ.

დაახლოებით 20 მოწინავე მუშა წარდგენილია „სატყეო მრეწველობის საპატიო მუშაკის" ნიშნით დასაჯილდოებლად. (საქდესი).

გეგმის გადამეტებით შეკეთებულია 9 ორთქლმავალი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა I კვარტალის გეგმა. ქარხანამ სამი თვის განმავლობაში რემონტიდან გამოუშვა 89 ორთქლმავალი, ნაცვლად 80-ისა.

მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს ამხ. მკერვალიშვილის, იაგორაშვილის, იუშკევიჩისა და სხვ. კომპლექსურმა ბრიგადებმა.

ქარხნის გარდამავალი დროშა მოიპოვა შემკრებთა საამქრომ, რომელმაც პარტიის XVIII ყრილობის სახ. შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია. დროშის საზეიმო გადაცემა 8 აპრილს მოხდება. (საქდესი).

მარტის გეგმა შესრულებულია მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით

სტალინსკი, 2 აპრილი (საკდესი). დღეს კუზნეცკის სტალინის სახელობის ქარხნის მეტალურგებმა მოსკოვში გააცილეს იმ ამხანაგთა ჯგუფი, რომლებიც მთავრობის მიერ დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. მეტალურგებმა წასულ ამხანაგებს მისცეს განაწესი — გადასცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ ქარხნის კოლექტივი მომავალშიაც სტალინური მესამე ხუთწლედის სახელობის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში იდგება. მარტის გეგმა კოლექტივმა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით შეასრულა. გამოშვებულია 140.243 ტონა თუჯი, 151.874 ტონა ფოლადი და 113.372 ტონა სასაქონლო ნაგლინი.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია მარტში „500" საგლინავი დაზგის — სტახანოვურმა კოლექტივმა. მან თვიური პროგრამა 137,6 პროცენტით შეასრულა და პირველ კვარტალში 24.160 ტონა პროდუქცია მოგვცა გეგმის გადამეტებით.

საბჭოთა კავშირში

დამთავრდა ამხანაგ სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების თარგმნა ხაკასურ ენაზე. იგი დაიბეჭდა ხაკასთა საოლქო გაზეთ „ხიზილ აალში". მშრომლები უდიდესი ინტერესით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის მოხსენების გამოქვეყნებას ხაკასთა მოსახლეობის დედაენაზე.

o

1 აპრილს თვითმფრინავი „ნ — 169", რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი მაზურუკი ჰმართავს, შმიდტის კონცხიდან ანადირში ჩავიდა. მან მოზამთრეებს ფოსტა და XVIII პარტყრილობის მასალები ჩაუტანა.

o

ლენინგრადის რადიოგადაცემათა მიღებისა და აკუსტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიებში დამზადებულია ახალ რადიომიმღებთა საცდელი ეკზემპლარები: მიმღები, რომელიც კნოპით იმართება, უნივერსალური კვების ხუთლამპიანი მიმღები და ეგრეთწოდებული „საკოლმეურნეო" ოთხლამპიანი რადიომიმღები, რომელიც ბატარეიდან იკვებება.

o

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნაჩვენები იქნება „კომუნარის" მარკის ახალი, ფართო კოლმეურნე მასებისათვის ჯერ კიდევ უცნობი მაღალნაყოფიერი კომბაინი. მას აქვს 12 მეტრი სიგანის მჭრელი აპარატი, რომელიც თითქმის სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე სერიული კომბაინის ასეთივე აპარატი. გასულ წელს გამოცდის დროს კომბაინმა საათში საშუალოდ 7 ჰექტარზე აიღო მოსავალი (სერიული კომბაინი კი 1,5-2 ჰექტარზე იღებს).

საკდესის ცნობა

2 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა და იაპონიის ელჩმა მოსკოვში გ. ტოგომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თევზჭერის საკითხებზე ვადით 1939 წლის დამლევამდე. თევზჭერის საჯარო ვაჭრობა, რომელიც 3 აპრილისათვის იყო დანიშნული ვლადივოსტოკში, ტექნიკური მიზეზების გამო გადადებულია ერთი დღით, ე. ი. 4 აპრილისათვის.

o

გაზეთებმა „ტანმა" და „ევრმა" დაბეჭდეს ჰავასის სააგენტოს ცნობა მოსკოვიდან, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრა ან პირობა მისცა იკისროს ვალდებულება — ომის შემთხვევაში პოლონეთი მოამარაგოს სამარი მასალებით და დახუროს თავისი ნედლეულის ბაზარი გერმანიისათვის. საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან საბჭოთა კავშირს ასეთი დაპირებანი არავისთვის არ მიუცია და ასეთი ვალდებულებანი არ უკისრნია.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტისაგან

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბოლშევიკური პარტიის უძველესი წევრის, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაკის ვასილ ანდრიას-ძე შელგუნოვის გარდაცვალებას.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაწოდოთ სოციალისტურ მრეწველობას მუშახელი

ბელადის მოწოდების საპასუხოდ

სოხუმი, 3 მარტი (საკ. კორ.). სოხუმის რაიონის კოლმეურნეობები ეხმაურებიან დიდი სტალინის მოწოდებას და კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა წერილს სოციალისტური მრეწველობისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. 2 აპრილს სოხუმის რაიონის სოფ. დრანდის კოლმეურნეობებში ჩატარდა მიტინგები, რომლებზეც კოლმეურნეები გაეცნენ შჩერბინოვსკელთა წერილს.

სოფელ ცარჩეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შემდგარ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი ბრიგადირები: ს. კაჭარავა, გრიგოლია და კოლმეურნეები: დ. რურუა, დ. გვინჯილია, დ. სიჟინავა და სხვები. ბრიგადირმა გრიგოლიამ განაცხადა,—კოლმეურნეობებში დღეს ფართოდ გამოყენებულია შრომის მექანიზაცია, რაც საშუალებას იძლევა კოლმეურნეობა მუშა-ხელით დაეხმაროს მრეწველობას. ჩვენ,—სთქვა მან,—პირნათლად შევასრულებთ ბელადის მოწოდებას, დავეხმარებით ჩვენს მრეწველობას მესამე სტალინური ხუთწლედის დიდ დავალებათა შესრულებაში. ამხ. გრიგოლიას ამ განცხადებამ კოლმეურნეთა საერთო მოწონება გამოიწვია.

შჩერბინოვსკელთა წერილს გაეცნენ აგრეთვე დრანდის კოლმეურნეობა „ნოვაია დერევნიას“ კოლმეურნეები. სიტყვებით გამოსულნი შენგელია, ერქვანია, დადიანი, ქებურია და ფაცაცია აცხადებენ, რომ ისინი საქმით გაამართლებენ ბრძენი ბელადის მოწოდებას.

შჩერბინოვსკელთა წერილი შესწავლება აფხაზეთის დანარჩენ კოლმეურნეობებშიც.

გ. მერკვილაძე

ქარხანას მუშახელი მიაწოდეს

ცხაკაია, (საკ. კორ.). ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეები აქტიურად ეხმაურებიან დიდი სტალინის მოწოდებას და კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა წერილს სოციალისტური მრეწველობისათვის მუშახელის მიწოდების შესახებ. სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ უშაფათის ჩაის ფაბრიკას მისცა 5 კოლმეურნე, დიმიტროვის სახელობის სოფ. ბეთლემის ლ. ბერიას სახელობის, უშაფათის სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა მრეწველობაში სამუშაოდ რამდენიმე ახალგაზრდა კოლმეურნე გაგზავნეს.

ვ. კალანდარიშვილი

ლაგოდეხელთა პასუხი

ლაგოდეხი, (საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები აქტიურად გამოეხმაურნენ მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადებას მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ ამ შეჯიბრებაში და აიღეს ახალი ვალდებულებები.

სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება მიმდინარე წელს მიიღოს ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი თამბაქო. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა ს. ხოსიტაშვილმა იკისრა ვალდებულება გამოიყვანოს თამბაქოს საუკეთესო ჩითილი და დაიწყოს თამბაქოს რგვა 15 აპრილიდან. ჯგუფის ხელმძღვანელმა სტახანოველმა ნ. ქშუტაშვილმა იკისრა ვალდებულება თავის ჯგუფში ჰექტარზე აიღოს საშუალოდ 20 ცენტნერი ხორბალი და 19 ცენტნერი თამბაქო. ს. ხოსიტაშვილის ბრიგადის წევრებმა აიღეს ვალდებულება ამ თავითვე მოემზადონ თამბაქოს შეტეხისათვის და უზრუნველჰყონ საერთო მოსავლიდან 50 პროცენტი მაღალი ხარისხის თამბაქოს მიღება.

კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ ბრიგადირმა პავლე ფედერენკომ და კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხლის“ ბრიგადირმა ლადო ბატიაშვილმა აიღეს ვალდებულებანი მიიღონ ჰექტარზე 23-25 ცენტნერი თამბაქო.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს სხვა კოლმეურნეობებშიც.

დ. ბატიაშვილი.

შეჯიბრებაში ჩაებნენ

ფოთი, (საკ. კორ.) მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და მოსამსახურეების მიმართვას ფოთის მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ. ყველა საწარმო-დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში 2 აპრილს ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგები.

კოლხიდმშენის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ინჟინრები: ნ. მაჭავარიანი, კ. გუჯაბიძე და ნ. ნიკობაძე, რომლებმაც განაცხადეს: — „კრასნი პროლეტარის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა გამოსთქვეს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხის ნება-სურვილი. ერთსულოვნად ვუერთდებით მათ ინიციატივას და ვიძლევით პირობას კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სტახანოვური მოძრაობა და უზრუნველვყოთ კოლხიდმშენის სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ფოთის ლ. ბერიას სახელობის გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ჩაება რა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში, იკისრა ვალდებულება მიმდინარე წელს მისცეს სახელმწიფოს 102.000 ცალის ნაცვლად 130.000 ცალი გრეიპფრუტის ნაყოფი და თვითღირებულება შეამციროს 10 პროცენტით.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის მოწოდების განხილვა გადაიქცა ბოლშევიკური პარტიის და დიდი სტალინის ირგვლივ მჭიდრო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად.

ზ. მელიქია

ჩაის ფაბრიკების მზადება სეზონისათვის

საქართველოს 33 ჩაის ფაბრიკაში გაჩაღებულია მზადება ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების სეზონისათვის, რომელიც მოახლოებულია.

წელს ჩაის ფაბრიკები გადაამუშავებენ 43.100.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, შარშან კი გადამუშავებული იყო 35.000.000 კილოგრამი. ამის შესაბამისად დაწყებულია მუშაობა ფაბრიკების უმეტესი ნაწილის სიმძლავრის გასადიდებლად. მთელ რიგ ფაბრიკებში —მახარაძის, მაღალი ეწერის, ჩოხატაურის და წალენჯიხის ფაბრიკაში—ახალ დიზელებს სდგამენ. პირველად იდგმება კალორიფერი აცანის, უშაფათის, დიდიჭყონის პირველსა და ჩხოროწყუს ფაბრიკაში.

ყველა ფაბრიკაში რემონტს უკეთებენ სადგომებსა და მოწყობილობას.

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობების მიხედვით, სეზონისათვის ფაბრიკების მზადყოფნა მოწყობილობის რემონტის მხრივ 26 მარტს 92 პროცენტს შეადგენდა, ხოლო საერთო მზადყოფნა 69 პროცენტით გამოიხატებოდა. ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სეზონისათვის ფაბრიკები არადამაკმაყოფილებელი ტემპებით ემზადებიან, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ცუდი მუშაობაა. ეს ქარხანა არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ჩაის ფაბრიკებისათვის მოწყობილობის მიწოდების საქმეში. კერძოდ, ქარხანა აგვიანებს როლერების (შეკვეთილი იყო 27, ჩაბარებულია 16), ჩაის სახმობი ღუმელების (14-დან ჩაბარებულია 8). და სხვ. მიწოდებას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ქარხნის მიერ მიწოდებული მოწყობილობა მაღალი ხარისხისა არ არის.

მთელმა რიგმა ჩაის ფაბრიკებმა უკვე დაამთავრეს სეზონისათვის მზადება. სავსებით დამთავრებულია სალიბაურის, ნასაკირალის, სუფსის, მამათისა და ჭალა-ფახულანის ფაბრიკის მოწყობილობისა და სადგომების რემონტი.

მეტად ჩამორჩება მახარაძის ფაბრიკა, რომელმაც რემონტის გეგმა 42 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკაში არ დაუმთავრებიათ დიზელის რემონტი, არ არის დადგმული ახალი მოწყობილობა (როლერები, და მხარისხებელი მანქანები), გვიანდება საელექტრომონტაჟო სამუშაო. უკეთესი მდგომარეობა არც ზოგიერთ სხვა ფაბრიკაშია, მაგალითად: წალენჯიხის ფაბრიკამ რემონტის გეგმა 43 პროცენტით შეასრულა, დიდიჭყონისამ—50 პროცენტით, უშაფათისამ—60 პროცენტით და ახალ-ხიბულისამ—60 პროცენტით.

ძლიერ აბრკოლებს ფაბრიკების რემონტს ელექტრომოწყობილობისა და ზოგიერთი სამშენებლო მასალის უქონლობა. (საქდესი).

არომატიზებული ქართული ჩაის საზოგადოებრივი დეგუსტაცია

ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი (მახარაძის რაიონი, სოფ. ანასეული) მთელი რიგი წლების განმავლობაში დიდ მუშაობას ეწევა ქართული ჩაის არომატიზაციის ხაზით. ამ მიზნით სინჯეს მთელი რიგი ყვავილები — ჟასმინის, წყავის, ციტრუსებისა და სხვ. ამჟამად ინსტიტუტი შეჩერდა ჩაის სამ არომატიზატორზე: ვარდისა და ოლეაფრაგრანსის ყვავილებზე და ორივე ამ ყვავილის ნარევზე.

ინსტიტუტმა ჩაის მეჩაიეებისაგან დადებითი დასკვნა მიიღო ამ ყვავილებით არომატიზებულ ჩაიზე, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ფართო შესამოწმებლად გამოიტანოს ახლადმიღებული ხარისხის ჩაი. ახლადმიღებული სხვადასხვა ჩაის კონცენტრანტები გამოტანილი იქნება მომხმარებელთა მასობრივ დასაჭაშნიკებლად.

ინსტიტუტი ამზადებს დაახლოებით 200 კილოგრამ არომატიზებულ ჩაის, რომელიც განწონილი იქნება ცალცალკე სხვადასხვა ნომრიან შეკვრებად. მომხმარებელს შესთავაზებენ ჩაის რამდენიმე შეკვრას ისე, რომ აღნიშნული არ იქნება, რომელი ჩაი არის არომატიზებული და რომელი არა. ჩაის გემო და არომატის სხვაობა თვითონ მომხმარებელმა უნდა გაარჩიოს.

ჩაის მასობრივი გასინჯვა ჩატარდება თბილისის მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებში. (საქდესი).

ღრმად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის მოხსენება და XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებანი

სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს საგიტაციო მუშაობა ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის. ფოთის მშრომელები არაჩვეულებრივი ინტერესით შეუდგნენ დიდი ბელადის ბრძნული მოხსენების შესწავლას.

რკინიგზის კვანძის აგიტატორები ე. კიკალეიშვილი, დ. კუცია, ი. კიკიანი, დ. ხოშტარია და სხვ. წინასწარ გულდასმით ემზადებიან საუბრების ჩასატარებლად. მათ კონსულტაციას უწევენ საქალაქო კომიტეტის მიერ გამოყოფილი კვალიფიციური პროპაგანდისტები. მსხვილ საწარმოებში (კოლხიდმშენი, ნავსადგური, რკინიგზის კვანძი და სხვ.) ეწყობა ჯგუფური კონსულტაციები ამხანაგ სტალინის მოხსენების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

ინტელიგენცია სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალებს

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მეცნიერი მუშაკები სერიოზულად შეუდგნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობას. 200-ზე მეტი აგიტატორი ატარებს საუბრებს ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ. აგიტატორებმა აკ. ტიკარაძემ, მ. მურველაშვილმა და სხვ. უკვე დაამთავრეს საუბრები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან და შეუდგნენ საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობაზე საუბრების ჩატარებას.

უნივერსიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტმა შეადგინა მოხსენებათა კალენდარული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას გააკეთებს აპ. ნუცუბიძე, სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობაზე—პ. თავხელიძე, II ხუთწლედის შედეგებზე და III ხუთწლედის ძირითად ამოცანებზე—ამხ. ა. მურაჩაშვილი და სხვ.

მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ლიტერატურა XVIII ყრილობის მასალების შესახებ.

ამხანაგ სტალინის მოხსენების შესწავლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტელიგენცია დიდ დახმარებას უწევს მშრომელ მოსახლეობას. უნივერსიტეტის 132 აგიტატორი ექვსდღიურში 2-ჯერ ატარებს მოსახლეობაში საუბრებს. სამართლის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა კომკავშირელმა ამხ. შ. ბენიაშვილმა მარის ქ. № 17 მცხოვრებთა შორის უკვე ჩაატარა საუბარი ამხ. სტალინის მოხსენების გამო, ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა ემ. კახაძემ კი—ატინის ქ. № 11-13-ში მცხოვრებთა შორის. (საქდესი).

დიაგრამები საკ. კ. პ. (ბ) ყრილობის მასალებზე

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის ს. წულუკიძის სახელობის პარტიული განათლების სახლში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაციები ამხანაგების სტალინის, ჟდანოვის, მოლოტოვისა და მანუილსკის მოხსენებების გარშემო.

კონსულტაციებზე სისტემატურად ესწრებიან საკონსერვო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატისა და სამკერვალო ფაბრიკის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

პარტიული განათლების სახლმა უკვე შეიძინა დიაგრამები საკ. კ. პ. (ბ) ყრილობის მასალებზე, ეს დიაგრამები დიდად ეხმარება ამხანაგებს ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში.

აწყობენ პარტიის ყრილობის დოკუმენტების შესწავლას

ოჩამჩირე, (საქდესი). ოჩამჩირის რაიონის პარტბიუროთა მდივნების, პარტორგების, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, აგიტატორების, წამკითხველებისა და მოსაუბრეთა თათბირზე განხილულ იქნა საკითხი იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციათა წინაშე სდგას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

თათბირს 250-მდე კაცი დაესწრო. აგიტატორებმა ამხ. ჟორდანიამ, შანავამ და სხვებმა გაუზიარეს დამსწრეთ თავიანთი გამოცდილება, რომელიც მიიღეს ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის მოწყობის დროს.

ამხანაგ სტალინის მოხსენება, — სთქვა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის აგიტატორმა ამხ. ლორთქიფანიძემ, — უდიდეს ინტერესს იწვევს მსმენელებში. როდესაც მსმენელთ ვუკითხავ და ვუხსნი პარტიის XVIII ყრილობის მასალებსა და გადაწყვეტილებებს, მუშები დიდძალ კითხვებს მაძლევენ.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდის გაუმჯობესებას და მუშაობის გაჩაღებას ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასწავლად

ონის რაიონში ფართოდ მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ ამ მუშაობისათვის გამოყოფილია 215-მდე აგიტატორი. ამჟამად ყოველ კოლმეურნეობაში და წარმოება-დაწესებულებაში აგიტატორები აცნობენ და ასწავლიან მასებს ამხანაგ სტალინის მოხსენებას. მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

მ. ჩომახიძე

შეუდგნენ ბელადის მოხსენების შესწავლას

ბარმაქსიზი, (საქდესი). პარტიის წალკის რაიკომმა დაამტკიცა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ორი წრე—ერთი ქართულ ენაზე ხრამჰესმშენთან და მეორე—სომხურ ენაზე სოფ. კუშჩიში ზემო წალკის სოფლის ინტელიგენციისათვის. ყველა მსმენელი, რომელმაც მოისურვა წრეებში მეცადინეობა, უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

წრეები უკვე შეუდგნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალის შესწავლას.

სწავლობენ დიდი ბელადის მოხსენებას

(ხაშური, საკ. კორესპონდენტისაგან)

ხაშურის რაიონის მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის და ჟდანოვის მოხსენებათა შესწავლას. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აგიტატორებად გამოჰყო ყველაზე უფრო მომზადებული ამხანაგები პარტიული, კომკავშირული და უპარტიო აქტივისტებიდან. აგიტატორებს პარტიის რაიკომი უწევს საკონსულტაციო მომსახურებას.

აგარის შაქრის ქარხანაში, გომის, ქვენატკოცის, ბრეთის და სხვ. კოლმეურნეობებში აგიტატორები არბოლიშვილი, ვათაშვილი, ჩოჩიშვილი, სხირტლაძე, მესხიძე და სხვ. დიდი მონდომებით აცნობენ მშრომელებს დიდი ბელადის მოხსენებას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ვ. ხეთაგური

მთელმა არქტიკამ მიიღო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალები

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პოლიტსამმართველომ დიდი მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის პოლარული სადგურებისა და ჩრდილოეთის შორეული რაიონებისათვის გადაეცა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალები.

განსაკუთრებული დაძაბულობით მუშაობდა ისტორიული ყრილობის დღეებში ჩრდილოეთის მთავარი საზღვაო გზის რადიოსადგური. დაზამთრების ყველა ადგილი, ისინიც კი, რომლებიც შორეულ ჩრდილოეთში იმყოფებიან, — ყინულმჭრელი „სედოვი“ და რუდოლფის კუნძული—იუწყებიან, რომ მათ მთლიანად მიიღეს XVIII ყრილობის მასალები.

შორეული ჩრდილოეთის განაპირა პუნქტებში ყრილობის მასალებით გაემგზავრა პოლარული ავიაციის რამდენიმე თვითმფრინავი. მათ უკვე მიიტანეს ამდერმაში, იგარკაში და შმიდტის კონცხზე, ამბარჩიკის ბუხტში, ტიქსის ბუხტში რამდენიმე ათასი ბროშურა და გაზეთი ყრილობის მასალებით.

უახლოეს დროში პოლარელი მფრინავები მდინარე კოლიმის, ენისეის და ლენის ნაპირებზე მდებარე ყველა პუნქტში მიიტანენ მოსკოვის გაზეთების კომპლექტებსა და ბროშურებს ყრილობის მასალებით.

ჯგუფური კონსულტაცია (კონსულტანტი ამხ. მ. მოდებაძე—მესამე მარცხნიდან) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წესდების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში.

ფოტო რ. აკოფოვისა

ქიმიური კომბინატი მესამე ხუთწლედში

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ისტორიულ ყრილობაზე თავის შესანიშნავ მოხსენებაში სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა ამხ. მოლოტოვმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ქიმიური მრეწველობის განვითარების ამოცანა. „ამოცანა მდგომარეობს იმაში,—ამბობს ამხ. მოლოტოვი,—რომ დაჩქარებით წავწიოთ წინ ქიმიური მრეწველობა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია, რისთვისაც ჩვენ მოგვეპოვება განუსაზღვრელი შესაძლებლობანი და საუკეთესო პერსპექტივები“.

ჩვენ, საქართველოს ქიმიური მრეწველობის მუშაკებს, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებანი მეტად პასუხსაგებ ამოცანებს გვაკისრებენ. პარტია და ხელისუფლება მოგვიწოდებენ ბოლშევიკურად დავირაზმოთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ლოზუნგი—„მესამე ხუთწლედი ქიმიის ხუთწლედია“.

ამჟამად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის ქიმკომბინატის გამგებლობაშია წარმოების სამი სხვადასხვა დარგი: 1) ძირითადი ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამომმუშავებელი, 2) ლაქ-საღებავებისა და 3) წებოს სახარში.

ქარხნის მესამე ხუთწლიან გეგმაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ძირითადი ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამომუშავების განვითარებას

ახლად მოეწყობა ორი წარმოება ბიტუმის ლაქებისა და შაბიამნის წარმოება.

ლაქებზე სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებს ჩვენი ქვეყნის ავტომრეწველობა, რომელიც თანდათანობით იზრდება.

1940 წელს დამზადებული უნდა იყოს 100 ტონა ლაქი, მაგრამ წარმოების სრული ათვისების შემდეგ 1941 წელს განზრახულია 350 ტონისა და 1942 წელს—500 ტონა ლაქის გამოშვება.

ლაქების დამზადება დამყარებული იქნება ადგილობრივ ბუნებრივ ბიტუმზე.

შაბიამნის საამქრო უნდა გახდეს ქარხნის ერთერთი წამყვანი საამქრო. საამქროს სიმძლავრე ამჟამად იძლევა წელიწადში 200 ტონამდე შაბიამნის დამზადების შესაძლებლობას, მაგრამ ეს რაოდენობა მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს იმ უდიდეს მოთხოვნილებას, რომელსაც მას უყენებს საქართველოს მზარდი მევენახეობა.

როგორც ცნობილია, მევენახეობა წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგს.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილების თანახმად, საქართველოში ვენახების ფართობი 1940 წლის დამლევამდე აყვანილი იქნება 60.000 ჰექტარამდე.

მაშასადამე, მეტისმეტად იზრდება მოთხოვნილება შაბიამნზე, რის დაკმაყოფილებას უახლოეს ხანებში ქიმკომბინატი, რასაკვირველია, ვერ შესძლებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო ნიადაგი მოვუმზადოთ შაბიამნის დამზადებას მესამე ხუთწლედის დამლევისათვის იმ რაოდენობით, რომელიც ძირითადად დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას

მესამე ხუთწლედში არანაკლები ზრდა დასახულია წებოს წარმოების დარგშიც.

წებოს სახარში საამქროს სიმძლავრე 1942 წელს აყვანილი იქნება 450—500 ტონამდე ნაცვლად 1937 წლის 70 ტონისა.

წებოს სახარში წარმოება სავსებით უზრუნველყოფილია ნედლეულით თბილისის ტყავის ქარხნების ნარჩენების ბაზაზე დამყარებით. გათვალისწინებულია აგრეთვე ძვლების გადამუშავების მოწყობა, ასე რომ გარდა ტყავქვეშკანის წებოსი გამოშვებული იქნება აგრეთვე ძვლის წებოც.

საქართველოს სსრ მოთხოვნილება წებოზე სავსებით უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

მთელ მესამე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხა გამოიხატება 1060,4 ათასი მანეთის რაოდენობით.

საერთოდ პროდუქციის ზრდა 1942 წელს მატულობს 252,9 პროცენტით 1937 წელთან შედარებით.

ქიმიური მრეწველობის წარმატებითი განვითარების მიზნით და მისი გადაქცევისათვის მრეწველობის ერთერთ იმ წამყვან დარგად, რომლებიც სავსებით დააკმაყოფილებენ ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და თავდაცვის მოთხოვნილებებს, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს მესამე ხუთწლედში, საქართველოს სსრ მთელი ქიმიური მრეწველობა თავმოყრილ უნდა იქნას ერთ ხელში.

პირველ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის მექანიზაცია და მისი მთლიანად მოწყობა, მაგრამ უკანასკნელის დაქსაქსულობამ შეიძლება გაართულოს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შესრულება.

ეჭვს გარეშეა, რომ პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებით და დახმარებით ორდენოსანი საქართველოს ქიმიური მრეწველობა სწრაფად განვითარდება და უახლოეს მომავალში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქიმკომბინატი თავისი მუშაობის მოცულობით სათანადო ადგილს დაიკავებს ჩვენს მრეწველობაში.

ვ. კუბლაშვილი

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქიმკომბინატის მმართველი.

ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

ქვანახშირის შახტებისა და ნავთის სარეწაოების მოწინავეებმა, ფართოდ გაშალეს რა პარტიის XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, წარმატებით დაამთავრეს პირველი კვარტალის საწარმოო პროგრამა და გეგმის გადამეტებით მოგვცეს პროდუქცია.

კვარტალური გეგმის გადამეტებით 104 ათასამდე ტონა ქვანახშირი მოგვცა დონბასის უდიდესმა კომბინატმა „სტალინუგოლმა“. გეგმის გადამეტებით 14 ათასი ტონა ქვანახშირი მოგვცა „როსტოვუგოლის“ კომბინატმა.

მთელმა დონბასმა (შახტმშენის გამოკლებით) პირველ კვარტალში 20.750 ათასამდე ტონა ქვანახშირი ამოიღო. დავალება შესრულებულია 99,8 პროცენტით.

პირველ კვარტალში კარგად მუშაობდნენ აღმოსავლეთ მხარეების ქვანახშირის მუშაკები. ამ კვარტალში აღმოსავლეთ მხარეების „გლავუგოლის“ კომბინატებმა და ტრესტებმა ამოიღეს 7.575 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი — გეგმის 102,2 პროცენტი. კუზბასმა ქვანახშირის ამოღების კვარტალურ პროგრამას გადააჭარბა 1,2 პროცენტით, „კარაგანდუგოლმა“ — 4.4 პროცენტით, „ვოსტსიბუგოლმა“—7,6 პროცენტით.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოლკოვნიკ სლავეკის თვითმკვლელობა

ვარშავა, 3 აპრილი (საკდესი). რევოლვერით თავი მოიკლა პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და სეიმის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა ვალერი სლავეკმა. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. გამოძიება სწარმოებს.

O

პოლკოვნიკი სლავეკი პილსუდსკის ერთერთი უახლესი თანამშრომელი იყო. იგი ეკუთვნოდა პოლონეთის მმართველი ბანაკის ზედა ფენას — ეგრეთწოდებულ პოლკოვნიკთა ჯგუფს. რამდენჯერმე (1930 და 1931 წლებში) მთავრობის მეთაური იყო. 1928 წელს არჩეულ იქნა ლეგიონერთა კავშირის თავმჯდომარედ. 1938 წელს იყო სეიმის თავმჯდომარედ.

ბეკი ლონდონს გაემგზავრა

ვარშავა, 3 აპრილი (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი გუშინ ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა ლონდონს. ცნობაში გამგზავრების შესახებ აღნიშნულია, რომ ლონდონს მიმავალი ბეკი გზაში არსად არ შეჩერდება. გამგზავრების წინადღეს ბეკი მიიღო პრეზიდენტმა მოსციცკიმ მარშალ რიძ-სმიგლისა და პრემიერ-მინისტრ სლავოი-სკლადკოვსკის თანდასწრებით.

ამერიკა-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ნიუ-იორკი, 3 აპრილი (საკდესი). ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, ანკარაში (თურქეთი) ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის. ამერიკის გაზეთების აზრით, ამ ხელშეკრულებას შეუძლია ხელი შეუშალოს გერმანიის ეკონომიური ექსპანსიის გეგმებს ახლო აღმოსავლეთში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს, რომ დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უზრუნველჰყოფს ურთიერთობის გაუმჯობესებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის, სადაც გერმანია ცდილობს განამტკიცოს თავისი ეკონომიური პოზიციები.

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია კლაიპედაში (მემელში)

ვარშავა, 3 აპრილი (საკდესი). პოლონეთის მთელი რიგი გაზეთები ათავსებენ კაუნასიდან მიღებულ ცნობას ლიტვის საზღვარზე გერმანიის დიდძალი ჯარის კონცენტრაციისა და კლაიპედის ოლქში გამაგრებით წარმოებული საფორტიფიკაციო მუშაობის შესახებ. კერძოდ იუწყებიან, რომ კლაიპედის ნავსადგურს სასწრაფო წესით ხდიან გერმანიის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზად. ხდება ნავსადგურის მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთების კონფისკაცია ამ ნაკვეთებზე სამხედრო სიმაგრეების ასაგებად. კლაიპედაში ყოველდღიურად მიდის რამდენიმე მატარებელი. ამ მატარებლებით სამხედრო ძალები გადაჰყავთ და საომარ მასალებს ეზიდებიან. აღმოსავლეთ პრუსიიდან კლაიპედაში გადაჰყავთ გერმანიის ქვეითი ნაწილები. კლაიპედის ოლქის სხვადასხვა ნაწილებში გამაგრებით აგებენ ყაზარმებს.

„გონეც ვარშავსკის“ კაუნასელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის ჯარის ამ გამაგრებულ კონცენტრაციას კაუნასში აფასებენ როგორც იმის ნიშანს, რომ გერმანია ემზადება შემდგომი დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად ბალტიისპირა მხარეში. ლიტვის პოლიტიკურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ, სწერს კორესპონდენტი, რომ უკვე უახლოეს დღეებში ბერლინი მოთხოვნებს წარუდგენს ლიტვას და ლატვიას.

ებრაელთა დარბევა სლოვაკიაში

პრაღა, 3 აპრილი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში სლოვაკიის მთელ რიგ ქალაქებში ფაშისტებმა მოიერიშეებმა მოაწყეს ებრაელთა დარბევა. ქალაქ პრეშევში (აღმოსავლეთ სლოვაკია) ცეცხლი წაუკიდეს სინაგოგას, დაარბიეს ებრაელთა მაღაზიები. ათობით არიან დასახიჩრებულნი და დაჭრილნი.

გამოფენა სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამაა

შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის ყოველწლიურ წარმოებას 8 მილიარდი ფუთის რაოდენობით, ჰექტარზე 12-13 ცენტნერის საშუალო მოსავლიანობით, გავადიდოთ წარმოება ტექნიკური კულტურების დარგში საშუალოდ 30-35 პროცენტით, გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთი-ორად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა—40 პროცენტით, ცხენების სულადობა—35 პროცენტით.

ი. სტალინი

ოქუმის კოლმეურნეობა — გამოფენის კანდიდატი

იმ მრავალ მიღწევათა შორის, რომლებიც აქვს გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გიორგი ჯგუბურია) განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებანი მეტად ძვირფასი კულტურის—ტუნგოს განვითარების საქმეში. კოლმეურნეობის მრავალწლიანი ნარგავები ამჟამად 377 ჰექტარს შეადგენს და მათ შორის 137,5 ჰექტარი ტუნგოს უჭირავს. ტუნგოს კულტურა ამ კოლმეურნეობაში ახალია, როგორც საერთოდ ახალია ის მთელს საქართველოში. მაგრამ აქ ოთხწლიანი ნარგავიდან შარშან პირველი მოსავალი უკვე მიიღეს.

გეგმის მიხედვით ოქუმის კოლმეურნეობას შარშან უნდა მიეღო 7.000 კილოგრამი ტუნგოს ნედლი ნაყოფი. ფაქტიურად მიიღო 9.870 კილოგრამი, ე. ი. სრულმოსავლიანზე გადაყვანით ჰექტარზე 25.833 კილოგრამი. ეს კი სარეკორდო მაჩვენებლად ითვლება. მარტო ტუნგომ კოლმეურნეობას შარშან 13.472 მანეთის შემოსავალი მისცა.

წელს კოლმეურნეობა ახლად გააშენებს ტუნგოს 30 ჰექტარზე და სრულმოსავლიანობის დროს მარტო ამ კულტურის პლანტაცია მას 3 მილიონ მანეთამდე შემოსავალს მისცემს. ამიტომ არის, რომ აქ კოლმეურნეები თვალისჩინივით უვლიან ტუნგოს ნარგავებს. მაგალითად, შარშან პლანტაციები მთლიანად გადაიბარა, გაითოხნა ოთხჯერ. ტუნგოს პლანტაციებში გეგმის ზევით დაითესა სიდერატები 12 ჰექტარზე, შეტანილ იქნა ნაკელი 93 ჰექტარზე. ამავე ფართობზე თავის დროზე შეიტანეს აგრეთვე სუპერფოსფატი, სულფატამონიუმი და კალიუმის მარილი. კარგი მოვლისა და სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების შედეგად ტუნგოს პლანტაციები აქ არ დაავადებულა და არც დაზიანებულა.

აღსანიშნავია, რომ თედო შამათავას ბრიგადამ შარშან ტუნგოს ოთხწლიანი სტახანოვური ნაკვეთიდან კარგი მოვლით (სრულმოსავლიანზე გადაყვანით) ჰექტარზე 26.066 კილოგრამი ნედლი ნაყოფი მიიღო.

საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა გზავნის როგორც ტუნგოს ხეებს, ისე მის ნაყოფს.

კოლმეურნეობას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ჩაის, თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურების დარგშიც. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სრულმოსავლიანი პლანტაციიდან ჰექტარზე მიღებულია 2.500 კილოგრამამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც კიდევ უფრო უწყობს მას ხელს საპატიო ადგილი დაიჭიროს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

კოლმეურნეობამ ფართოდ გაშალა მუშაობა მიმდინარე წლის ყველა საწარმოო დავალებათა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ოქუმის კოლმეურნენი, რომლებიც ერთერთი ინიციატორთაგანი არიან სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი იმ მიმართვისა, რომელიც „კომუნისტის" 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების შესახებ, ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ მოპოვებული მიღწევები კიდევ უფრო განამტკიცონ და გაზარდონ.

ამ კოლმეურნეობის 1938 წლის საერთო შემოსავალი 2.006.694 მანეთს უდრის, კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 14 მან. 70 კაპ.

კოლმეურნეობას 1938 წლის ყველა სახელმწიფო ვალდებულება გადაჭარბებით აქვს შესრულებული. მაგალითად, ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 142 პროცენტით. ლაოჩასი—117-ით, ტუნგოსი—572-ით, მანდარინისა — 180-ით, პერილასი—110-ით და სხვ.

კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული მეცხოველეობის დარგშიც. ერთ დედალორზე მიღებულია 14 საქმიანი გოჭი. სულ კოლმეურნეობას ჰყავს იორკშირის ჯიშის 48 ღორი, რომელთაგან 14 შეტანილია სარაიონო საჯიშე წიგნში. მათვე ჰყავთ 61 ძროხა, თხა და ცხვარი—251 (მათ შორის მერინოსები), ცხენი—66, ფუტკარი—58 ოჯახი. კოლმეურნეთა შორის უძროხობა ლიკვიდირებულია.

კოლმეურნეობაში უახლოეს დღეებში დამთავრდება მდინარე ოქუმზე 110-ცხენის ძალიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, საიდანაც კოლმეურნეები მიიღებენ შუქს.

კოლმეურნეობას აქვს ამბულატორია, საბავშვო კონსულტაცია, სამშობიარო სახლი, აფთიაქი, საბავშვო ბაგა 32 ბავშვისათვის, სრული საშუალო სკოლა, სამკითხველო, აგრეთვე ლაბორატორია, კლუბი 700 მაყურებლისათვის, წითელი კუთხე. კოლმეურნეობაშია მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი 30 კოლმეურნის შემადგენლობით, სასულე ორკესტრი, წრეები: ჭადრაკის, დრამატიული, ფიზკულტურული — ფეხბურთის, კალათბურთის და ველოსიპედისტების (30 ველოსიპედით) სექციებით. აქვე მოწყობილია საპარიკმახერო, ფოტოგრაფია, სასადილო, 8-ოთახიანი სასტუმრო და სხვ.

კოლმეურნეობაში სულ უფრო-დაუფრო იზრდება ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ფართობი, წლითიწლობით იზრდება მოსავლიანობა, კოლმეურნეთა ბეღლები სავსეა სიმინდით და ქვევრები ღვინით. კოლმეურნეობა ყოველწლიურად ვენახებიდან საშუალოდ იღებს 5.000 ვედრო ღვინოს. აქვს სამი საბარგო ავტომანქანა. სხვადასხვა კურსებზე აქ შარშან მომზადდა და გადამზადდა 189 კოლმეურნე (მათ შორის 110 ქალი). კოლმეურნეობის წევრებიდან და მათი შვილებიდან 19 კაცმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლები. კოლმეურნეობის სტახანოველთა რიცხვი კი 193 კაცს უდრის.

ყოველწლიურად იზრდება ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შემოსავალი, კოლმეურნენი ცხოვრობენ შეძლებულად, კულტურულად, საამურად.

ოქუმის კოლმეურნეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის ღირსეული კანდიდატია. ოქუმელი კოლმეურნენი ენერგიულად იბრძვიან კოლმეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

აგრ. რ. დოლონაძე

ბელადისათვის მიცემული დაპირება საქმით გაანაღდეს

ესტატე კაკულია
ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

ალბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ერნსტ კუგელმა ორდენის მიღების დროს კრემლში პირობა მისცა დიდ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომ კიდევ უკეთესად იმუშავებდა კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამხ. კუგელის ამ დაპირების შესრულებისათვის ბრძოლა მთელი კოლმეურნეობის საქმედ გადაიქცა. ასურეთელმა კოლმეურნეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა მაღალი სტალინური მოსავლისათვის და კარგ წარმატებებსაც მიაღწიეს.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის დაწესებული მაჩვენებლები მევენახეობის, ბოსტნეულის, მარცვლეული კულტურების და მეცხოველეობის ხაზით.

ვენახი 147 ჰექტარზეა გაშენებული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჰექტარზე მიღებულ იქნა საშუალოდ 71,6 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის დაწესებული 60 ცენტნერისა. ცალკეული ნაკვეთებიდან კი მიღებულ იქნა ჰექტარზე 100 ცენტნერი და კიდევ მეტი. გამოფენაში წარდგენილია აგრეთვე ვაზის სანერგის ბრიგადა, რომელმაც შარშან 427.455 ძირი ვაზი დაამყნო და ნორმით დაწესებულ 50 პროცენტის ნაცვლად მიიღო სტანდარტული ნერგი 55 პროცენტი. კერძოდ, მყნობელმა მარიამ შეტლემ მის მიერ დამყნილი ვაზიდან მიიღო სტანდარტული ნერგი 67 პროცენტის რაოდენობით.

ვაზის სანერგეში საუკეთესოდ მოწესრიგებულია შრომა. ყველა მყნობელს შრომადღეები ეწერება ვაზის გახარების მიხედვით. მყნობელებს დაკისრებული აქვთ მათ მიერ დამყნილი ვაზის მოვლა, სათბურიდან დაწყებული პლანტაციაში გადარგვამდე. ამიტომ აქ მყნობელები დაინტერესებული არიან ნამყენის უკეთესად მოვლით: თოხნიან, აფხვიერებენ, რწყავენ ნაკელის წვენით, სწამლავენ და სხვ.

1938 წელს კოლმეურნეობამ გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ 20 ცენტნერის ნაცვლად მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი სიმინდი. კარტოფილი 100 ცენტნერის ნაცვლად მიღებულ იქნა ჰექტარზე 134 ცენტნერი. გაახალთესლებული თესლის გამოყენებით, თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებითა და ნათესების გულდასმით დამუშავებით კარტოფილის ცალკეულ ნაკვეთებიდან აქ ჰექტარზე 400 ცენტნერი მოსავლის მიღებასაც მიაღწიეს.

მეღორეობის ფერმაში კოლმეურნეობას ამჟამად ჰყავს 45 დედა-ღორი, რომელთაგან მიღებულ და შენარჩუნებულ იქნა 765 საქმიანი გოჭი, ანუ 16,7 გოჭი თვითეულ დედა-ღორზე, მაშინ როცა გამოფენაში მონაწილეობის პირობები 13 გოჭის შენარჩუნებას ითვალისწინებს. კერძოდ, სტახანოველმა მეღორემ ლუიზა შლიხტმა თვითეულ დედა-ღორზე გაზარდა საშუალოდ 18,1 გოჭი.

მერძეობის სასაქონლო ფერმაში 28 ძროხაა, რომელმაც შარშან კოლმეურნეობას 4.700 ცენტნერი რძე მისცა. თვითეულ საალაფო ძროხაზე მიღებულ იქნა საშუალოდ 1.500 ლიტრის ნაცვლად 1.678 ლიტრი რძე. სტახანოველმა მწველავმა ბერტა ბაუერმა კი, რომელიც 10 ძროხას უვლის, ძროხის საშუალო წველადობა 1.967,4 ლიტრამდე აიყვანა.

სალორეებსა და საძროხეებს დროზე ასუფთავებენ და სისტემატურად უკეთებენ დეზინფექციას. ღორებსა და გოჭებს წინასწარ გამოანგარიშებული ნორმების მიხედვით აძლევენ მოხარშულ კარტოფილს, დაროშილსა და გაფუებულ მარცვლეულს, დაჭრილ ჭარხალს და სხვ. საკვების მიღების შემდეგ ნახმარ ჭურჭელს რეცხავენ და ასუფთავებენ ცხელი წყლით. ღორებსა და გოჭებს სისტემატურად სწმენდენ და ბანენ, რითაც თავიდან იცილებენ დაავადებას.

რაციონალურად ჰკვებავენ ძროხებსაც. საკვების ნორმის დაწესების დროს აქ მტკიცედ ითვალისწინებენ თვითეული ძროხის წონასა და საერთო მდგომარეობას. მწველავები მათზე მიმაგრებულ ძროხებს სისტემატურად უკეთებენ ძუძუების მასაჟს, აგრეთვე უკვირდებიან და სწავლობენ თვითეული ძროხის ჩვევას და თავისებურებას.

მუყაითი შრომით ასურეთელი კოლმეურნენი ყოველწლიურად ზრდიან საკოლმეურნეო დოვლათს. შარშან კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 2.088.000 მანეთს მიაღწია. ერთი წლის განმავლობაში კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 23,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფულადი შემოსავალი 38,3 პროცენტით. აქ ბევრია ისეთი კოლმეურნეთა ოჯახები, რომლებიც შრომადღეებზე კოლმეურნეობიდან წლიურად 20-25.000 მანეთს და კიდევ მეტს ღებულობენ.

კოლმეურნეობა და კოლმეურნეები პირნათლად იხდიან სახელმწიფო ვალდებულებებს და იბრძვიან იმისათვის, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციით მიმდინარე წელს მიიღონ კიდევ უფრო უხვი მოსავალი. ამჟამად არც ერთი საკოლმეურნეო ბრიგადა და ჯგუფი არ არის დარჩენილი, რომ სოცშეჯიბრებაში არ იყოს ჩაბმული.

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა მთელ პროგრამას გვაძლევს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად-საკავშირო პოპულარიზაციის, მათი მუშაობის საუკეთესო მაგალითების პოპულარიზაციისა და გავრცელების საქმეს. ამ გამოფენამ უნდა გამოიწვიოს შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, რაიონებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის. მას შეუძლია და კიდეც უნდა შეასრულოს დიდი როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ორგანიზაციისა და მესამე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში.

ვ. მოლოტოვი

კოლმეურნეთა ბრწყინვალე გამარჯვება

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. გ. ჩხარტიშვილი) სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სამაგალითო მაჩვენებლებით მიდის. სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა როგორც მთლიანად კოლმეურნეობამ, ისე მისმა ექვსივე ბრიგადამ.

დ. კიპსელიძის ბრიგადამ გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის დაწესებული 2750 კილოგრამის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 4.410 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ბ. ზოიძის ბრიგადამ — 4.498, ზ. სიდოროპულოს ბრიგადამ — 3.522, ვ. ჩხაბერიძის ბრიგადამ — 3.618, რ. ველიაძის ბრიგადამ კი 3.445 კილოგრამი. ციტრუსების სანერგის ბრიგადამ, რომელსაც ა. ლომთაძე ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 30.000 ძირის ნაცვლად შარშან 60.000 ძირი ციტრუსები დაამყნო და აქედან მიიღო 82 პროცენტი სტანდარტული ნერგი.

კოლმეურნეობას ამჟამად 28,5 ჰექტარზე 17.253 ძირი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი აქვს გაშენებული. 1937-38 წელს ციტრუსთა თვითეულ ხეზე ნორმით დაწესებული 350 ცალის ნაცვლად საშუალოდ მიიღო 419 ცალი ნაყოფი, ცალკეულ ხეზე კი 1800 ცალი და კიდევ მეტი. შარშან კოლმეურნეობამ მარტო ციტრუსებიდან 297.368 მანეთი მიიღო, 112.572 მანეთით მეტი, ვიდრე 1937 წელს. თვითეულ შრომადღეზე კი ფულად გეგმით გათვალისწინებული 16 მან. 50 კაპიკის ნაცვლად 18 მან. და 10 კაპ. გასცეს.

გამოფენისათვის მზადების დროს კოლმეურნეობამ სამაგალითო წარმატებები მოიპოვა ტუნგოს კულტურის დარგშიც. ტუნგოს, რომლის გაშენებას აქ 1934 წლიდან მოჰკიდეს ხელი, ამჟამად 20 ჰექტარი უჭირავს.

შარშან კოლმეურნეობამ 1934 წელს გაშენებულ 1 ჰექტარ ტუნგოს პლანტაციიდან ნორმით დაწესებული 1.080 კილოგრამის ნაცვლად 3.937 კილოგრამი ნაყოფი მიიღო, 1935 წელს გაშენებული 2,5 ჰექტარიდან კი 7.000 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 1.475 კილოგრამისა. ტუნგოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა კოლმეურნეობამ შარშან 371,5 პროცენტით შეასრულა.

ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებთან ერთად კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში თვალისჩინივით უვლიან ტუნგოს თვითეულ ხეს. ტუნგოს ნარგავებზე მიმაგრებულია ცალკე ბრიგადები, ხოლო სეზონურად მათ სპეციალურ ჯგუფებსაც ამაგრებენ. გაზაფხულზე ტუნგოს პლანტაციებში თვითეული მცენარის თავისებურების გათვალისწინებით შეაქვთ ნაკელი და ფოსფოროვანი სასუქები, თოხნიან ოთხჯერ და დადგენილი წესის მტკიცედ დაცვით, მცენარეებს ძირებს შემოუბარავენ ხოლმე.

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისა და დაზიანებისაგან მცენარეთა დაცვის მიზნით მსხმოიარე ხეების ტოტებს უკეთებენ ბიჯგებს. ფერდობებზე გაშენებულ მცენარეებს ჩამოცვივნული ნაყოფის შესაგროვებლად გაკეთებული აქვთ პატარა ჯებირები.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ამჟამად მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული, გადაჭარბებით ასრულებს მიმდინარე წლის ყველა სახის საწარმოო დავალებებს. კერძოდ ციტრუსების გაშენების საგაზაფხულო გეგმა მას შესრულებული აქვს 141,4 პროცენტით.

ტ. აცანელი

კოლმეურნეები ისვენებენ გამოფენის კანდიდატის, ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობის კულტურის სახლის ეზოში.

გამოფენის კანდიდატები მახარაძიდან

(„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

მახარაძის რაიმიწგანში შემოსულია მრავალი განცხადება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის. განცხადებები შემოსულია ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან, რომელმაც 1937-38 წელს თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ 2925 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო.

განცხადება შემოსულია აგრეთვე თხინვალის და ნაღობილევის კოლმეურნეობებიდან, რომლებმაც ჰექტარიდან საშუალოდ მიიღეს 2472-4125 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ტუნგოს მაღალი მოსავლით გამოფენის კანდიდატად შერჩეულია ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ 1595 კილოგრამი ნაყოფი მიიღო.

შემოქმედის კოლმეურნეობამ თხილის არაჩვეულებრივი მოსავალი მოიწია. 9 ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციაზე აქ 324 ცენტნერი თხილი მოიყვანეს.

გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მახარაძის რაიმიწგანში განცხადება შეტანილი აქვს ნატანების კოლმეურნეობის წევრს დავით ნაკაიძეს, რომელმაც 1938 წლის სეზონში დაამყნა 37.000 ძირი ციტრუსი, დღეში საშუალოდ 3088 ძირი, და გახარა ნამყენთა 91 პროცენტი; ლაშე-გაკირულის კოლმეურნეობის სტახანოველ მყნობელს შოთა ღლონტს, რომელმაც 1938 წლის სეზონში დაამყნა 26.000 ძირი ციტრუსი, დღეში საშუალოდ 2500 ძირი, და გახარა ნამყენთა 96 პროცენტი.

გამოფენის კანდიდატებად შერჩეული არიან ნატანების კოლმეურნეობის ჩაის სტახანოველი მკრეფავები ლიზიკო ხურციძე, ელენე აროშიძე, თიკო გობრონიძე და სხვები, რომლებმაც 1938 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცეს.

მახარაძის რაიონის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ჩაბმულნი რა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებაში, ენერგიულად მუშაობენ, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

ლ. მახარაძე.

რით მივდივართ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ს. ახობაძე
ურეკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობა (მახარაძის რაიონი) ციტრუსების ერთერთი უდიდესი მეურნეობაა. მას უჭირავს 500 ჰექტარი, სადაც გაშენებულია ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი და სხვა სუბტროპიკული ხეხილი. გარდა ამისა, მეურნეობაში 50 ჰექტარზე მოწყობილია ციტრუსის სანერგე.

სრულიად-საკავშირო სას.-სამ. გამოფენის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ურეკის საბჭოთა მეურნეობა ფართოდ ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადებსა და ცალკეულ მუშაკთა შორის დაიდო სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი ახალ-ახალი წარმატებათა მოპოვებისათვის. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა თავის მხრით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლიმმანტრესტის კოხორისა და კვირიკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები.

როგორ ვასრულებთ დავალებას, როგორია მეურნეობის წარმატებები? უკვე მიღწეულია თვითეულ ხეზე ნაცვლად 350 ცალისა 650 ცალი ციტრუსის ნაყოფი, ხოლო ზოგიერთ უბნებში ბევრად მეტიც (1.500 ცალამდე). მეურნეობაში 50 სკა ფუტკარზე მიღებულია 118 სკა და 1.167 კილოგრამი თაფლი, ხოლო ციტრუსთა სანერგეში დამყნილია 1.036.000 ძირი ლიმონი, მანდარინი და სხვა ციტრუსი, საიდანაც თითქმის ერთ მილიონამდე სტანდარტული ნერგი მივიღეთ.

სტახანოველმა მყნობელმა შოთა გოგუაძემ შემოიღო მყნობის თავისი მეთოდი, რითაც უზრუნველჰყო საწარმოო დავალების 653 პროცენტით შესრულება. ჯერ კიდევ 1937 წელს მან მყნობით თვეში 5.000 მანეთი გამოიმუშავა, ხოლო შარშან 12 დღეში — 2.500 მანეთი. შ. გოგუაძის მყნობის ხერხების გამოყენებამ მეურნეობას მეტად კარგი შედეგი მისცა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, მყნობელმა ბ. როყუამ ნორმა 490 პროცენტით შეასრულა, ნადია გრიდნევამ — 272-ით. საერთოდ კი მეურნეობაში შ. გოგუაძის მყნობის მეთოდის შემოღებით ყველა მყნობელი დავალებას საშუალოდ 150 პროცენტით ასრულებს. მყნობის ოსტატი შ. გოგუაძე 1938 წლის ზაფხულში გამოცდილების გაზიარებისათვის მივლინებული იყო მეზობელ კოლმეურნეობებში, სადაც მან კოლმეურნეებს შეასწავლა მყნობის მეთოდი.

სოცშეჯიბრების გაშლის შედეგად აგრონომმა ს. ნინიძემ შემოიღო პლანტაციებში ნაკელის შეტანის გაუმჯობესებული ხერხი, რითაც შრომის ნაყოფიერება 25 პროცენტით გაიზარდა. მებაღე კოზიუკოვმა და პ. სერგიენკომ გაუმჯობესებული თოხნის შემოღებით უზრუნველჰყვეს შრომის ნაყოფიერების 40 პროცენტით გაზრდა. ასევე საუკეთესო შედეგი მოგვცა მუშა ა. გუჯაბიძის წინადადებამ, რაც გამოიხატებოდა ნაკელის გადაზიდვის გაადვილებაში. მუშა ხრიპტანის წინადადებამ კი მინიმუმამდე შეამცირა მეურნეობაში ხანძრის საშიშროება.

ურეკის საბჭოთა მეურნეობაში დიდი დაბრკოლება იყო ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში სასუქების და სხვა საჭირო მასალების შეტანისას. ეს მდგომარეობა გამოსწორებულია მუშა კოზიუკოვის გამოგონილი მავთულის გზის შემოღებით, რითაც შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 400 პროცენტით — ტვირთის ზიდვა მექანიზებულია.

მოყვანილი მაგალითები გამონაკლისი როდია. გამომგონებლობა, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა საფუძვლად უდევს ურეკის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივის მუშაობას. ამის შედეგია კერძოდ ის, რომ მუშები: ოლია შერბინინა ნორმებს 478 პროცენტით ასრულებს, შურა კოვალიოვა — 332-ით, კირილე მაზურიკი — 223-ით, ამირიდონ სარჯველაძე — 289-ით, ი. ქანთარია — 292-ით, პ. სერგიენკო — 298 პროცენტით და სხვ.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშების მოცემისათვის მეურნეობის მთელი რიგი მუშაკები დაწინაურებული არიან ახალ თანამდებობებზე. მყნობელი შ. გოგუაძე — სანერგის გამგედ, ნადია გრიდნევა — საბავშვო ბაღის გამგედ, მეურმე ნიკ. კონონენკო — ტრანსპორტის გამგედ, აგროტექნიკოსი ი. ჩხაიძე — რაიონის აგრონომად. დაწინაურებული ამხანაგები კარგად ართმევენ თავს მუშაობას. მაგალითად, შ. გოგუაძემ სანიმუშოდ დააყენა სანერგეში ციტრუსთა ნერგების გამოზამთრება, არ ყოფილა ნერგის დაავადების, ფესვების ლპობის ან ფოთლების დაცვენის არცერთი შემთხვევა. სანერგეში ბევრი ისეთი სამუშაო, რაც წინათ აპრილსა და მაისში სრულდებოდა, წელს თებერვალსა და მარტში შესრულდა. შედეგიც კარგი მივიღეთ.

სრულიად-საკავშირო სას.-სამ. გამოფენაში მონაწილეობის კანდიდატთა სიაში უკვე შეტანილია როგორც ურეკის საბჭოთა მეურნეობა, ისე მისი საუკეთესო სტახანოველები: შ. გოგუაძე — მყნობის რეკორდის დამყარებისათვის, ბ. როყუა და ნ. გრიდნევა — მყნობის მაღალი მაჩვენებლებისათვის, ოლია შერბინინა და შურა კოვალიოვა — როგორც ნამყენთა შეხვევის რეკორდისტები, აგრონომი სევ. ნინიძე — თვითეულ ხეზე საშუალოდ 702 ცალი ციტრუსთა ნაყოფის მიღებისათვის, რაიაგრონომი ვ. ხაჭაპურიძე — თვითეულ ხეზე 1485 ცალი მანდარინის მიღებისათვის. ასევე შეტანილია გამოფენის კანდიდატთა სიაში აგროტექნიკოსი შ. გოგოლიშვილი, მუშა-მებაღეები: ი. პროსტაკოვი, ი. კუზუკოვი, კ. მაზურიკი, პრ. სერგეენკო და ი. ქანთარია, რომლებმაც თვითეულ ხეზე 1.016 ცალი ნაყოფი მიიღეს. ამჟამად მეურნეობაში მიმდინარეობს გამოფენის კანდიდატთა დამატებით გამოვლინება და შერჩევა.

ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის ჩატარებული მუშაობა, ცხადია, მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც გამოფენასთან დაკავშირებით შეგვიძლია შევასრულოთ. ამიტომ არის, რომ ეს კოლექტივი არ კმაყოფილდება მიღებული წარმატებებით. აღებულია ვალდებულება — მუშაობა წარიმართოს იმგვარად, რომ მეურნეობამ 1940 წელსაც მიიღოს გამოფენაში მონაწილეობა. აი პირველი შედეგიც: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 27 ჰექტარისა ჯერ კიდევ თებერვალში ციტრუსების ახალი პლანტაციების მოსაწყობად ნიადაგი მომზადდა 36,5 ჰექტარზე. ორგანული და მინერალური სასუქების შემოზიდვა შარშან მარტის შუა რიცხვებში დამთავრდა, წელს კი 20 თებერვლისათვის 2.100 ტონის ნაცვლად 2.400 ტონა ორგანული სასუქი დამზადდა. შარშან სუბტროპიკული ხეხილისათვის ძირებთან ნიადაგის შემობარვა და ნაკელის შეტანა 1 მაისს დამთავრდა, წელს კი ეს სამუშაო თებერვალში დავამთავრეთ. ასევე დიდი წარმატებებია მიღწეული მეურნეობის სხვა დავალებათა განაღდების საქმეში.

საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი პირობას გიძლევით: ნაცვლად შარშანდელი 1.700.000 ცალი ციტრუსთა ნაყოფისა წელს მივიღოთ 15.000.000 ცალი მარტო მანდარინის ნაყოფი, ლიმონის — 100.000, გრეიპფრუტის — 10.000 და ფორთოხლისა — 50.000 ცალი. ასევე უზრუნველვყოფთ წარმატებებს სხვა დარგებშიც.

ამ ვალდებულებათა შესრულების მტკიცე პირობას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ის მძლავრი აღმავლობა, რომლითაც მოცულია მთელი ჩვენი მეურნეობა. ეს საშუალებას მოგვცემს ბოლშევიკურად შევასრულოთ 1939 წლის გეგმები, რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც.

ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა შორის ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადებამ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად-საკავშირო შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

ვაგრძელებთ რა საკავშირო სას.-სამ. გამოფენისათვის მზადებას და წინასაყრილობო სოცშეჯიბრებას, დარწმუნებული ვართ — შრომის სწორი ორგანიზაციით, სტახანოვური გამოცდილების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებით, ცალკეული დარგებისა და საწარმოო უბნების ურთიერთშეთანხმებული მუშაობით ურეკის ციტრუსების აყვავებული საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი უზრუნველჰყოფს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებას 1940 წელსაც.

გამოფენის კანდიდატის, თელავის რაიონის სოფ. სანიორეს კოლმეურნეობის ჯიშიანი ღორები.

თელავის რაიონის ზემო-ალვანის შინსაკომის სახელობის კოლმეურნეობის მიერ გამოფენაზე გასაგზავნად შერჩეული ყოჩი.

ჩინეთის არმიის მებრძოლები

საკდესის ფოტოქრონიკა

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნციინელ, შანხაელ, და ლონდონელ კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ჩინელთა ჯარი კვლავ აკავებს იაპონელთა ჯარის ნაწილებს, რომლებიც ნანჩანის დაპყრობის შემდეგ ცდილობდნენ შეტევაზე გადასულიყვნენ აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით.

ნანჩანის სამხრეთ - დასავლეთით ჟუიჯოუს რაიონში ბრძოლა გრძელდება. იაპონელები მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებენ. იაპონელთა ყველა იერიში მოგერიებულია. ორი დღის ბრძოლის განმავლობაში ამ რაიონში იაპონელებმა დაჰკარგეს ერთი ტანკი; მათ მოუკლეს და დაუჭრეს 200-ზე მეტი კაცი.

ნანჩანის ჩრდილო-დასავლეთით გააფთრებული ბრძოლის შემდეგ იაპონელთა ჯარმა მოახერხა ქალაქ უნინის დაკავება. ამჟამად ბრძოლა სწარმოებს ქალაქის სამხრეთით ხუთ კილომეტრზე.

ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთით ჩინეთის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც იოჯოუს უტევდნენ, მთელი რიგი პუნქტები დაიკავეს კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ ქალაქის ჩრდილოეთით 10 კილომეტრზე.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის სამხრეთით იაპონელთა ჯარი, რომელსაც ხელს უწყობდნენ თვითმფრინავები და საარტილერიო სროლა გემებიდან ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში, 31 მარტს, მეორეჯერ გადავიდა შეტევაზე ძიანმინის წინააღმდეგ. ჩინეთის ჯარის ნაწილებმა ქალაქი დასტოვეს. ჩინეთის გაზეთების ცნობით, 4 დღის ბრძოლის განმავლობაში ძიანმინის მახლობლად მოჰკლეს და დასჭრეს 900-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი.

დიდი ზარალი მოსდით იაპონელებს ძენჩენის მახლობლად წარმოებულ ბრძოლებში. ამ ბრძოლაში უკანასკნელი დღეების განმავლობაში იაპონელებს ათასზე მეტი კაცი მოუკლეს.

ჩრდილო ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთით იაპონელთა ჯარის ნაწილებმა დაიწყეს წინსვლა სისიანიდან და ანიიდან სამხრეთ მიმართულებით.

რესპუბლიკური ესპანეთის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის სხდომა

პარიზი, 2 აპრილი (საკდესი). პარიზში შესდგა რესპუბლიკური ესპანეთის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის გაფართოებული სხდომა. კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილი იყო ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის 15 ქვეყანა.

მიღებულ გადაწყვეტილებაში რესპუბლიკური ესპანეთის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობას მიჰმართავს მოწოდებით — მიიღოს ზომები ესპანელ რესპუბლიკელთა გადასარჩენად, რომლებსაც გენერალ ფრანკოს მხრივ ფაშისტური რეპრესიები ემუქრება. კომიტეტმა მიჰმართა აგრეთვე თხოვნით—გააძლიერონ საფრანგეთში მყოფი ესპანელი ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევა.

ესპანეთის ფლოტი გენერალ ფრანკოს გადაეცა

პარიზი, 2 აპრილი (საკდესი). ესპანეთის ფლოტი, საფრანგეთის ნავსადგურ ბიზერტში ინტერნირებული დღეს გენერალ ფრანკოს ერთერთ ნავსადგურში გაიგზავნება. ამ ფლოტის გემებს თან გაჰყვება ფრანკოს ორი გემი, რომლებითაც გადაყვანილი იქნება ესპანეთის ინტერნირებული სამხედრო გემების ეკიპაჟი.

იტალიის გამოძევება დუნაისა და ბალკანეთის ბაზრებიდან

ერთი წლის წინათ იტალიის ოფიციოზურ გაზეთ „ჯორნალე დ' იტალიას" რედაქტორმა გაიდამ განაცხადა, იტალია ვერ იარსებებს ისე, თუ მას დუნაის ან ბალკანეთის ნედლეული და ბაზრები არ ექნება.

მაგრამ, მიუხედავად იტალიის მთელი ცდისა—განმტკიცდეს ბალკანეთში და დუნაის ქვეყნებში, სწორედ მისი გერმანელი მოკავშირე—„ღერძის" მონაწილე — სისტემატურად აძევებს იტალიას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან.

ამ ქვეყნებთან იტალიის ვაჭრობის ხვედრითი წონა და აბსოლუტური მოცულობა კატასტროფულად ეცემა წლითი-წლობით. ასე მაგალითად, თუ რამდენიმე წლის წინათ იტალია იუგოსლავიის საქონლის ყველაზე დიდი ექსპორტიორი იყო, 1938 წელს იუგოსლავიასთან ვაჭრობა იტალიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მხოლოდ 1,6 პროცენტს შეადგენდა.

საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტების გაზეთ „რეპიუბლიკ" დამახასიათებელი ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ რამდენად დაეცა 1937-38 წლებში ბალკანეთისა და დუნაის ქვეყნებთან იტალიის ვაჭრობის ხვედრითი წონა.

მარტო გასულ წელს იტალიის მიერ უნგრეთიდან საქონლის შეტანა ერთიორად და უფრო მეტად შემცირდა, რუმინეთიდან—ერთისამად და უფრო მეტად, ჩეხოსლოვაკიიდან ერთიორად და სხვ.

ამავე ხნის მანძილზე იტალიის საქონლის შეტანა ჩეხოსლოვაკიასა, რუმინეთსა, ბულგარეთსა და თურქეთში თითქმის ერთიორად შემცირდა.

იტალია დიდად არის დაინტერესებული რუმინეთის ნავთით, მაგრამ გერმანია აქაც ულმობელად აძევებს თავის მოკავშირეს.

რუმინეთის ნავთის შეტანა (ტონობით)	1937 წ.	1938 წ.
გერმანიაში	435.281	703.732
იტალიაში	580.182	549.227

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიასა და რუმინეთს შორის დაიდო რუმინეთისათვის კაბალური ეკონომიური „შეთანხმება", რუმინეთის ნავთის ბაზრიდან იტალიის გაძევების ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება.

„რეპიუბლიკი" შემდეგ აღნიშნავს გერმანიის უკანასკნელ აგრესიულ აქტებს ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის მიმართ, აგრეთვე გერმანიის ხრიკებს იუგოსლავიაში, და დაასკვნის:

„იტალია, მიუხედავად მთელი მისი ცდისა — დაუმტკიცოს ბერლინს თავის მეგობრობა, განდევნილი იქნება დუნაის ბაზრიდან. იტალიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მთელი მისი საგარეო ვაჭრობის დაახლოებით ერთ - მესამედს შეადგენს მისი ვაჭრობა გერმანიასთან.

გერმანიასთან იტალიის კომერციული ურთიერთობა ძალიან ჰგავს იმ ურთიერთობას, რომელმაც აიძულა რუმინეთი ხელი მოეწერა ისეთი შეთანხმებისათვის, რაც მის ეკონომიურ დამონებას ნიშნავს".

2 აპრილი (საკდესი).

იაპონელთა კამპანია ინგლისის წინააღმდეგ

შანხაი, 2 აპრილი (საკდესი). იაპონელები განაგრძობენ კამპანიას მესამე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ინგლისელების წინააღმდეგ. ახლა მათ ინგლისელების წინააღმდეგ ამხედრეს ნანკინისა და ბეიპინის მარიონეტული „მთავრობები". ამ დღეებში იაპონელებმა ნანკინში მოიწვიეს ამ „მთავრობათა" გაერთიანებული კომისიის სხდომა, ამ სხდომაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია ინგლისის წინააღმდეგ, რომელმაც ჩინეთს სისხლი მისცა. გადაწყდა აგრეთვე „აწარმოონ ბრძოლა იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც მხარს უჭერენ ჩან კაი-შის".

პროიაპონური გაზეთებიც განაგრძობენ მკაცრ კამპანიას ინგლისის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით უცხოელი კორესპონდენტები იაპონელთა სარდლობის წარმომადგენელს შეეკითხნენ: „ხომ არ სწარმოებს ეს კამპანია იაპონიის ხელისუფალთა თანხმობით, რამდენადაც ჩინური გაზეთები იაპონელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იაპონიის არმიის სპეციალური სამსახურის სექციის ხელმძღვანელობით გამოდის?" ამ კითხვაზე იაპონელთა სარდლობის წარმომადგენელმა უარყოფითი პასუხი გასცა, მაგრამ ამავე დროს აღიარა, რომ ეს გაზეთები იაპონიის ხელისუფალთა ცენზურას ექვემდებარება და რომ „იაპონიის ხელისუფალნი ჩინურ გაზეთებს არ უკრძალავენ გამოსთქვან ინგლისის საწინააღმდეგო გრძნობები, რამდენადაც ეს მშვიდობიანობასა და წესრიგს არ არღვევს".

საერთაშორისო მოძრაობა დემოკრატიის ძალთა გაერთიანებისათვის

პარიზი, 2 აპრილი (საკდესი). ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა ნორმან ენჯლისა და პროფესორ ლანჟევენის მეთაურობით გამოაქვეყნა მიმართვა მთელი მსოფლიოს ანტიფაშისტებისადმი. მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული დემოკრატიული ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მათი გაერთიანების მიზნით.

ეს კონფერენცია მოწვეული იქნება პარიზში 13-დან 14 მაისამდე.

მიმართვას, გარდა ნორმან ენჯლისა და პროფესორ ლანჟევენისა, ხელი მოაწერეს არჩიბალდ სინკლერმა, ლორდმა მისტონმა, ლორდმა სტრაბოლჯიმ და ინგლისის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჰენრიხ მანმა, პიეტრო ნენიმ, ბელგიელებმა ვან რემორტელმა, იზაბელა ბლიუმმა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა.

ფაშისტების თარეში ჩეხიასა და მორავიაში

პრაღა, 2 აპრილი (საკდესი). „პროტექტორატის ჩეხია და მორავიას" მთავრობამ გერმანიის სამხედრო სარდლობის თანხმობით განკარგულება გასცა საწარმოებსა და სავაჭრო ფირმებში მთავრობის კომისრების დანიშვნის შესახებ. კომისრებს ნიშნავენ სათანადო სამინისტროები და ისინი საწარმოებს ერთპიროვნულად განაგებენ.

ტრესტების ყველა დირექციიდან, საფინანსო დაწესებულებებიდან და სხვ. განდევნილი არიან ყველა „არაარიული" ელემენტები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა ჩეხიისა და მორავიის ტერიტორიაზე ყველა იმ ფილმის დემონსტრირება, რომელთაც დემოკრატიული, ანტიფაშისტური ტენდენციები აქვთ. აღარ აღდგმევინებენ აგრეთვე ფილმებს ჩეხოსლოვაკიის არმიის შესახებ.

ოკუპაციამდე არსებული ორივე პარტიის—ბერანის „ნაციონალური ერთიანობის" პარტიისა და „შრომის პარტიის"—ხელმძღვანელობანი დღეს ცნობას აქვეყნებენ პარტიების თვითდაშლის შესახებ. „შრომის პარტიის" ხელმძღვანელობა მოუწოდებს თავის წევრებს შევიდნენ პრეზიდენტ გახას მიერ შექმნილ ახალ ფაშისტურ გაერთიანებაში.

რომი კმაყოფილია ჰიტლერის სიტყვით

პარიზი, 2 აპრილი (ტელეფონით „იზვესტიას" საკუთარი კორესპონდენტისაგან). მთელი იტალიის პრესა უაღრესად იწონებს ჰიტლერის გუშინდელ სიტყვას, მეტადრე სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც იტალია-გერმანიის სოლიდარობას ეხება. გაზეთებს „ფიურერის" განცხადება მიაჩნიათ „სერიოზულ გაფრთხილებად დასავლეთის დემოკრატიებისა და განსაკუთრებით ინგლისის მიმართ".

„პოპოლო დი რომა" ხელზე იხვევს გერმანიის იმ განცხადებებს, რომლებიც დიდბრიტანეთის წინააღმდეგ არის მიმართული, და ამასთან დაკავშირებით იხსენებს იმ პოზიციას, რომელსაც იტალიის მიმართ დაადგა ინგლისის მთავრობა იტალია-აბისინიის კონფლიქტის დროს. იგივე გაზეთი, ეხება რა ჩეხოსლოვაკიის პრობლემას, ცდილობს გეოგრაფიული, ისტორიული და სამხედრო მოსაზრებებით გაამართლოს გერმანიის მოქმედება. შემდეგ იტალიური ორგანო ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჰიტლერის სიტყვა სავსებით „მშვიდობისმოყვარული" იყო და რომ ჰიტლერმა „მთლად გააქარწყლა ყველა იმათი მტკიცება, ვინც ფიქრობს, ვითომ გერმანია რაიმე აგრესიულ გეგმებს ისახავდეს". სტატიის ავტორი უსირცხვილოდ ამტკიცებს, რომ „ეს სიტყვა შეიძლება ევროპის მშვიდობიანობის ქვაკუთხედად გადაიქცეს".

ჟაკ სადული

„იზვესტია", 3 აპრილი.

ადრიატიკის ზღვა გერმანიასა და იტალიას შორის განხეთქილების ვაშლია

ინგლისის პრესა, ეხება რა მუსოლინის ამასწინანდელ გამოსვლას, აღნიშნავს, რომ იტალიას და გერმანიას „—რომ ბერლინის ღერძის" ამ პარტნიორებს შორის სულ უფრო ძლიერდება წინააღმდეგობანი.

მაგალითად, გაზეთ „დეილი დისპეტჩის" სიტყვით, მუსოლინის განცხადება, რომ იტალიას ყველა საფუძველი მოეპოვება სრული ბატონობა დაიჩემოს ადრიატიკის ზღვაზე, უთუოდ ეწინააღმდეგება ფაშისტური გერმანიის ინტერესებს.

„ის სავაჭრო მოლაპარაკება გერმანიასა და იუგოსლავიას შორის, რომელიც განზრახულია მოხდეს ბერლინში, უნდა განვიხილოთ, — სწერს გაზეთი,—როგორც გერმანიის უშუალო ცდა მოუახლოვდეს ადრიატიკის ზღვის სანაპიროებს".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, თუ რა ოინებს სჩადიან იუგოსლავიაში გერმანიის აგენტები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ იუგოსლავიაში სერბებსა, ხორვატებსა და სლოვენელებს შორის. იუგოსლავიაში,— სწერს გაზეთი,—არის გერმანული უმცირესობა, რომელიც ცხოვრობს უმთავრესად მოსაზღვრე რაიონებში, ავსტრიის მახლობლად. ფაშისტურ გერმანიას შეუძლია ეს გამოიყენოს, რათა განახორციელოს აგრესიის ახალი აქტი ისევე, როგორც მან ეს ჩეხოსლოვაკიისა და კლაიპედის მიმართ ჩაიდინა.

ლონდონი, 2 აპრილი (საკდესი).

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში

შვებულებები მთელი წლის განმავლობაში

კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშების შვებულებაში წასვლის წესის შესახებ. გამოირკვა, რომ ზოგ საწარმოში დამკვიდრებული იყო პრაქტიკა საწარმოს ყველა მუშის ერთდროულად გაშვებისა შვებულებაში და საწარმოს მუშაობის დროებით შეწყვეტისა. კომისარიატის კოლეგიამ მიიღო დადგენილება ასეთი პრაქტიკის დაუყოვნებლივი აღკვეთის შესახებ.

საწარმოებმა მუშები მორიგ შვებულებაში უნდა გაუშვან თანდათანობით მთელი წლის განმავლობაში და ისეთი ვარაუდით, რომ საწარმოო გეგმების შესრულებაზე ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინოს. შვებულებაში წასასვლელთა შესაცვლელად საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა იყოლიონ სათადარიგო მუშათა კადრი.

ღონისძიებები ინდივიდუალურ შეკვეთათა ფაბრიკების მუშაობის გასაუმჯობესებლად

ინდივიდუალურ შეკვეთათა ფაბრიკების მუშაობა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია და ამ ნიადაგზე მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამუშავა ახალი ღონისძიებები ამ ფაბრიკების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიღებული ღონისძიებების განხორციელება უკვე დაწყებულია.

ჰოვანეს თუმანიანის დაბადების 70 წლისთავისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი 7 აპრილს მწერალთა კლუბში აწყობს საღამოს დიდი სომეხი მწერლის ჰოვანეს თუმანიანის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ სიტყვებს წარმოსთქვამენ ბ. ელენტი და პროფ. ლ. მელიქსეთბეგი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი შ. დადიანი და პოეტი ი. გრიშაშვილი გამოვლენ თავიანთი მოგონებებით ჰოვანეს თუმანიანის შესახებ.

ქართველი და სომეხი პოეტები წაიკითხავენ ჰოვანეს თუმანიანის ლექსებსა და პოემებს და მწერლისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს.

O

2 აპრილს მოზარდ მაყურებელთა სომხურ თეატრში გაიმართა ჰოვანეს თუმანიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს მხატვრულ ნაწილში მსახიობებმა წაიკითხეს მწერლის ნაწარმოებები.

საღამოს მრავალი მოსწავლე, პიონერი და მწერალი დაესწრო.

თბილისის ბოტანიკური ბაღი ემზადება ზაფხულისთვის

თბილისის ბოტანიკური ბაღი, ერთერთი უძველესი და ფლორის მხრივ უმდიდრესი ბაღთაგანი მთელ ამიერ-კავკასიაში, ზაფხულობით დიდძალ მნახველს იზიდავს. მის დასათვალიერებლად მოდიან საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან, მოდიან ბოტანიკოსები; ნატურალისტები, მასწავლებლები და მოწაფეები. ბოტანიკურ ბაღში მოდიან დასასვენებლად ათასობით თბილისელი მშრომელები.

ახლა ბოტანიკური ბაღის დირექცია ემზადება იმისათვის, რომ ზაფხულისთვის ბაღი მოამზადოს მშრომელთა მისაღებად: აკეთებენ საცალფეხო გზებს, ფანჩატურებს, სდგამენ სკამებს, გაჰყავთ ახალი ბილიკები და სხვ. ბაღში უკვე გაშენებულია ხმელთაშუაზღვის სანაპიროთა ფლორის ნაკვეთი, დასავლეთ საქართველოს ტყე, აღმოსავლეთ აზიის ფლორის კუთხე და გაჰყავთ წყალსადენი. ბაღის გასაფართოებლად მიმდინარე წლისათვის გადადებულია 185.000 მანეთი.

წელს ბაღში შესასვლელ გადასახადად დაწესებულია წითელ-არმიელთა და მოწაფეთათვის 15 კაპ., დანარჩენ მოქალაქეთათვის 50 კაპ., ხოლო ექსკურსანტებისათვის — 25 კაპ.

დაწყებულია ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი გვირაბის კეთილმოწყობა. ბოტანიკური ბაღი მასობრივი მნახველებისათვის გაიხსნება მაისიდან.

◊

დასასვენებელი სახლი ექიმებისათვის

საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი მახინჯაურში ექიმებისათვის ხსნის 50-ადგილიან დასასვენებელ სახლს.

სახლი მუშაობას დაიწყებს 1 მაისიდან.

სტალინის რუსული სკოლის მოწაფემ გალია ბიტიევამ თავის აღზრდილი სასამსახურო ძაღლი „ნერონი" წითელ არმიას მიუძღვნა. მან მადლობა მიიღო საჩუქრისათვის. ამჟამად გალია ახალ საჩუქარს ამზადებს, იგი წვრთნის საფოსტო მტრედებს.

საქდესის ფოტოქრონიკა

თბილისის 107 შრომის სკოლის მოსწავლეები რეზო სანაძე, ნუნუ ვაშაკიძე (ზედიდან), მაყვალა კუბეცია და ნინა გულიკოვა, რომლებმაც ჩააბარეს ნორმები ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშანზე. საქდესის ფოტოქრონიკა

ქუთაისის თეატრში

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მოკლე დროის განმავლობაში ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **დოდო ანთაძის** ხელმძღვანელობით გაშალა მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა და მოწინავე თეატრად იქცა. დღემდე თავის მაყურებლებს მან უჩვენა 6 პრემიერა და ამ დღეებში იზეიმა თავისი მეასე წარმოდგენა.

სეზონის ბოლომდე განზრახულია კიდევ სამი პრემიერის გაშვება. მორიგ პრემიერად აპრილის შუა რიცხვებში წავა ნაიდენოვის პიესა **„ვანიუშინის ოჯახი"**, რომელსაც სდგამს ახალგაზრდა რეჟისორი **სერგო ოყროშიძე**, მხატვარი **სანაძე**, მუსიკალური გაფორმება **თ. ვახვახიშვილისა.** მთავარ როლს შეასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ალ. იმედაშვილი.**

რეჟისორი **გრ. სულიაშვილი** პარალელურად ამზადებს ძმ. ტურისა და შეინის პიესას **„გენერალური კონსული".** უკანასკნელ პრემიერად წავა ვ. გაბესკირიას პიესა **„მათი ამბავი"**, რომელსაც დასდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **დ. ანთაძე** მხატვარ ირ. მდივნის მხატვრული და თ. ვახვახიშვილის მუსიკალური გაფორმებით.

თეატრმა მნიშვნელოვანი მომსახურება გაუწია მოზარდ თაობას. მან მოაწყო რამდენიმე შეხვედრა პიონერებთან. გარდა ამისა, მოზარდებისათვის თეატრს დღემდე დადგმული აქვს 23 დილის წარმოდგენა. ბავშვების მხატვრული მომსახურებისათვის ჩამოყალიბებულია აგრეთვე ტიკინების თეატრი, რომლის პირველ წარმოდგენას ნორჩი თაობა დიდი სიხარულითა და აღტაცებით შეეგება.

თეატრთან მოეწყო ბრიგადები, რომლებიც საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით იგზავნებიან კოლმეურნეობებში.

სეზონის დახურვის შემდეგ თეატრი ჩაატარებს მაყურებელთა კონფერენციას.

მზ. გვასალია

„გვადი ბიგვას" განხილვა მუშებთან

სტალინის სახ. ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ჩვენი გაზეთის ინიციატივით ეწყობა ორდენოსანი მწერლის ლეო ქიაჩელის ცნობილი რომანის „გვადი ბიგვას" საჯარო განხილვა. პლეხანოვის კლუბის ბიბლიოთეკამ საკმაო რაოდენობით შეიძინა „გვადი ბიგვა". ქარხნის სტახანოველები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები და სალიტერატურო წრის წევრები დიდი ინტერესით ელიან და გულდასმით ემზადებიან რომანის განხილვისათვის.

„გვადი ბიგვას" საჯარო განხილვა შესდგება 21 აპრილს დღის 4 საათზე ქარხნის სალექციო დარბაზში. განხილვას დაესწრებიან ავტორი და მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

გორის ციხის რესტავრაცია

გორის ციხეს [illegible] და მეცნიერული [illegible]. იგი მრავალ ექსკურსანტს და ტურისტს იზიდავს. რათა იგი დაცული იქნას შემდგომი დაზიანებისაგან, კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა გადასწყვიტა მისი შეკეთება. სათანადო მუშაობა უკვე დაიწყო. წელს გამაგრებული იქნება ყველაზე უფრო მეტად დაზიანებული კედლები; ამისათვის კედლებს ახალ საძირკველს ჩაუყრიან და გამოიყენებენ რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციებს.

ბევრ ადგილას გამოფიტულია კლდოვანი ნიადაგი, რომელზედაც აღმართულია ციხის კედლები. რესტავრაციის დროს გამაგრებული იქნება ეს ნიადაგიც.

შემდგომ წლებში რესტავრირებულ იქნება ციხის შიგნით დაცული ნაგებობანი, კოშკები და ქონგურები, რომლებიც ციხეს XVIII საუკუნეში დაუკეთდა.

წელს ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები, რაც ნათელს მოჰფენს ციხის ისტორიას.

(საქდესი).

„ნაპერწკლიდან" სომხურად

თბილისის სომხური დრამის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს შ. დადიანის ცნობილ პიესას „ნაპერწკლიდან". პრემიერა შესდგება 5 აპრილს. დადგმა რეჟისორ აზორიანის.

ლექციები

● **4 აპრილს,** საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება პროფ. **ს. ჯანაშიას** ლექცია თემაზე: „სოციალ-პოლიტიკური მიზეზები ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში".

შესვლა თავისუფალია.

● **5 აპრილს,** საღამოს 9 საათზე, სახ. უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე, უნივერსიტეტის ფიზიკის აუდიტორიაში პროფ. **ვ. კუპრაძე** გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „დიფრაქციის მოვლენის მათემატიკური საკითხები კლასიკურ ტალღურ ოპტიკაში".

შესვლა თავისუფალია.

რადიო დღეს

08.00—„უკანასკნელ ცნობათა" II გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან. 11.00 — „თბილისის ახალი ამბები" ქართულ და რუსულ ენებზე. 11.20—კონცერტი ფრანგი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. 11.55 —ინფორმაციები და განცხადებები. 12.15 —„უკანასკნელ ცნობათა" დღის გამოშვება ქართულ ენაზე. 17.05—კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. 17.40 —ინფორმაციები და განცხადებები. 18.10 —„უკანასკნელ ცნობათა" საღამოს გამოშვება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 19.30—აგიტაციისა და პროპაგანდის სექტორის გადაცემა—საუბარი ქართულ ენაზე: „ჰეგელი". 21.30—სიმფონიური კონცერტის ტრანსლაცია სახ. ფილარმონიიდან. 23.40—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება ქართულ ენაზე. 24.00—საცეკვაო მუსიკა. 00.30—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება დღეს, 4 აპრილს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე. კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

4/IV წარმოდგენა 155	5/IV წარმოდგენა 156	6/IV წარმოდგენა 157
სულელი	არსენა	თოფიანი კაცი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

4/IV		უბრალო გოგონა
5/IV		შური
6/IV	დღისით	ურიელ აკოსტა (დასაწყისი დღის 12 ს.)

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

4/IV	5/IV	6/IV
მუდმ. ადგ. ტალ. № 137 აბ. სერ. № 2	მუდმ. ადგ. ტალ. № 138 აბ. სერ. № 5	მუდმ. ადგ. ტალ. № 139
პიკის ქალი	დეისი	აიდა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დაწესებულებების საყურადღებოდ!

სახელგამი

1939 წლის 1 აპრილიდან საცალო ვაჭრობასთან ერთად აწარმოებს აგრეთვე საქონლის წვრილ საბითუმო რეალიზაციას დაწესებულებებზე:

მაღაზია № 1 (რუსთაველის პროსპ. № 22)—საკანცელარიო საქონელი
" № 9 (რუსთაველის პროსპ. № 16)—წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე
" № 8 (პლეხანოვის პროსპ. № 22)—საკანცელარიო საქონელი და წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.

სახელგამის სავაჭრო სამმართველო.
118

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ 23 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ფიზიკა-ქიმიური კორპუსის № 12 აუდიტორიაში ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ი. დ. თავბერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მარგანეცის ეტილატისაგან ჰიდროლიზით მიღებული ჟანგეულების ზოლების მდგრადობის შესახებ".**

ოპონენტები: პროფ. მ. შალამბერიძე, დოც. შ. შარაშენიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჟიჟიძე
569

თბილისის მაუდის ფაბრიკის საქარხნო-საფაბრიკო სკოლასთან

იხსნება 3-თვიანი კურსები დამრთველების მოსამზადებლად.

კურსდამთავრებულნი ჩარიცხული იქნებიან მაუდის ფაბრიკაში კვალიფიციურ მუშებად. კურსებზე მიიღებიან ქალები 18-დან 30 წლამდის განათლებით არა ნაკლებ 5 კლასისა.

მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია 60 მან., სადილისა და ტრამვაის აბონემენტები უფასოდ.

განცხადებების მიღება და მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და მათემატიკაში (5 კლასის ბაზაზე) იწარმოებს 1-დან 15 აპრილამდის.

სკოლაში ჩასარიცხავად საჭიროა შემდეგი საბუთები: მეტრიკული ამონაწერი, განათლებისა და მოვლინების მოწმობა და 2 ფოტოსურათი. პასპორტი უნდა იქონიონ ხელზე. კურსებზე ჩარიცხულთა 40% უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იქვე განაგრძონ სწავლა წარმოებას მოუწყვეტლივ მუშფაკსა და ტექნიკუმში.

მისამართი: დიდუბე, ბრძოლის ქ. № 108-ა, საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

119 დირექცია.

ნინო და ატუა კოპაძეები შვილი გივით იუწყებიან მამისა და ბაბუას **ია კარგარეთელის** გარდაცვალებას. გამოსვენება ხელოვნების მუშაკთა სახლიდან მახარაძის, 8, 4 აპრილს, 4½ ს. 1355

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრის მსახიობები—სოლისტები მწუხარებით იუწყებიან ქართული საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწის **ია კარგარეთელის** გარდაცვალებას. 101

ეკატერინე იოსების-ასული კარგარეთელისა შვილებით, სიძეებით და რძლებით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა **ია კარგარეთელი** 1346

ქმარი სერაპიონ (სარდიონ), დედამთილი პუპი, მაზლები: ლავრენტი, ნოე ოჯახობით იუწყებიან **მარო კვაჭანტირაძე-ქანთარიას** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს., კლდიაშვილის ქ. № 2. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1359

თამარ ჩხაიძე მშობლებით, დებით და სიძეებით იზიარებს მართა სირაძის მწუხარებას მისი საყვარელი მამის **სოლომონ როსტომის-ძე სირაძის** გარდაცვალების გამო. 1354

საბდაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე სამმართველოს უფროსი აგრონომის **გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ფოჩხიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6 აპრილს 4 ს. გონჩარნის, 22. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1352

გიორგი ლეონიძე იუწყება ძვირფასი მასწავლებლისა და მეგობრის, მხცოვანი კომპოზიტორის **ილია კარგარეთელის** გარდაცვალებას.

დამწუხრებული დედა ელისაბედი, ძმები: ლეონტი, გერონტი ფოჩხიძეები, მამიდები: ლუბა, ილიტე, სონია, ვერიკა იუწყებიან საყვარელ **გრიშას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გონჩარნის, 22. დაკრძალვა 6/IV, 4 ს. 1357

ბაგრატიონი, გუგუნაძე, დიმიტრენკო, სოხაძე, სამჭკუაშვილი, მერცხულავა, ბაჟუნაიშვილი, გორდაძე, რუხაძე, სტვილია, კარდანახიშვილი, ტიღემახი, კოკილაშვილი, ბიკოვა იუწყებიან ივანე პურადაშვილის ქალიშვილის **მარიამ ჩხენკელის** გარდაცვალებას. 1358

საქ. კომპოზიტორთა კავშირი იუწყება, რომ **კომპ. ია კარგარეთელის** დაკრძალვა მოხდება აპრილის 4-ს, გამოსვენება ხელოვნების ინსტიტუტა კლუბიდან 4½ საათზე (მახარაძის, 8). 1350

თბილისის ჯანგანის სატყეო განყოფილება თანაგრძნობას უცხადებს მანგლისის სატყეო მეურნეობის დირექტორ ვალიკო მაჭარაძეს მამის **სპირიდონ მაჭარაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 4 აპრილს ქ. ხონში. 1347

უახლოესი მეგობრები: თოფურიძე, თ. და ქ. ბურჯანაძეები, ცისკარიძე, ვარნაძე, ქებაძე, პარმა, ჯოჯიშვილი, გუდიაშვილი, გვარამაძე მწუხარებით იუწყებიან ქეთოს დედის **მარიამ ჩხენკელის** გარდაცვალებას. 1353

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 1731